ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

*იოანეს სახარება*

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1–180

სექტემბერი №13 (7) ფასი 30 თეთრი


*პოლიტიკა*

## ალიონიდან-მწუხრამდე

### ნეტავ სად, სად გვეძებოთ?!

„მიმზიდველი და ბარაქიანი“ შემოდგომის დადგომა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოვებამ გვამცნო. თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ხელისუფლების ბოლოდროინდელ ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ საქართველოში საინტერესო სანახაობა დაიწყო.

პანტაპუნტით ტოვებენ სკამებს ახალგაზრდა მინისტრები... მმართველ პარტიას თავმჯდომარემ „უღალატა“ კრიტიკულ სიტუაციაში... ალბათ, კიდევ გამოჩნდება „სინდის-ნამუსიანი“ მინისტრები, რომლებიც „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ პრინციპით ისარგებლებენ და მიხვდებიან, რომ კორუმპირებულ ხელისუფლებაში მუშაობას ვეღარ შეძლებენ... არჩევნებში კენჭისყრის მსურველთა ფანტაზიას საზღვარი არც ამ შემთხვევაში ექნება. კვლავაც დაგვპირდებიან „ოქროს კოშკებს“, მაგრამ არჩევნების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ისინი ან ვერ შეძლებენ აშენებას, მთელ ჯაფას ამომრჩევლებს შეალევენ (რაც იშვიათია) ან წინამორბედთა მსგავსად სასახლეები მხოლოდ თავისთვის ექნებათ აშენებული (გოგიაშვილის ანალიზიდან გამომდინარე).

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომა დადგა და აცივდა, პოლიტიკური ტემპერატურა პიკს აღწევს. პოლიტიკური კლიმატის მკვეთრი ცვალებადობა არჩევნების შემდეგ დარეგულირდება. ვისთვის დათბება, ვისთვის კიდევ აცივდება... ამას მომავალი გვიჩვენებს. მანამ კი თვალი გადავავლოთ რა ხდება ჩვენს რაიონში დილიდან საღამომდე ანუ ალიონიდან მწუხრამდე.

### ასეა თუ ისეა, ყველაფერი რიგზეა!..

უცხო და ლოგიკური ალბათ არ მოგვეჩვენება, თუ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხთან ურთიერთობას გააქტიურებენ. 20 სექტემბერს ცაგერის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ჩვეული რიტმით დაიწყებოდა სამუშაო დღე, რომ არა საქართველოს პარლამენტის წევრის ცაგერის რაიონში ბატონ კარლო მუშკუდიანისა და ცაგერის რაიონის გამგებლის ბატონ ო. ნემსიწვერიძის სტუმრობა.

დღის მთავარი თემა, გარდა მოახლოებული არჩევნებისა, (რომელზეც ქვევით ვისაუბრებ), შინაგან საქმეთა განყოფილებაში არსებული პრობლემები იყო. უმთავრესი პრობლემა გასული წლების 13 თვის ხელფასების დავალიანებაა.

საქართველოს პარლამენტის წევრმა ცაგერის რაიონში ბატონმა კ. მუშკუდიანმა ისაუბრა ქვეყანაში შექმნილ ურთულეს პირობებზე, თვით აღნიშნულ სისტემაში შექმნილ პრობლემებზე, რომ მთავარი ძალა სამართალდამცავთა ხელშია და სწორედ ამ სისტემის მზადყოფნითა და კეთილსინდისიერი, კანონიერი მოქმედებით შეიძლება შეინარჩუნო ქვეყანაში სიმშვიდე და სტაბილურობა.

აქვე აღინიშნა, რომ „გადაბრალების“ თუ ვიღაცაზე „დაბრალების“ მომენტები უნდა იყოს აღმოფხვრილი (დამეთანხმებით, ასეთი არაერთი შემთხვევა იყო ჩვენს რაონში). დღეს მოსახლეობას საერთოდ აქვს დაკარგული ნდობის ფაქტორი. უპირველესად კი ეს პოლიციას ეხება.

ცაგერის რაიონის გამგებელმ ბატონმა ო. ნემსიწვერიძემ ყურადღება გაამახვილა დღის მთავარ თემაზე—არჩევნებზე. მან აღნიშნა, რომ დამნაშავეთა სამყარო ახდენს გავლენას ხალხზე არჩევნების პროცესში, დამნაშავე არჩევნებს და პოლიტიკას უნდა ჩამოვაშოროთ“.

სამართალდამცავებს—უშიშროების განყოფილებას, სასამართლოს და პროკურატურას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, რომ კომპეტენციის ფარგლებში შექმნან ისეთი ატმოსფერო, რომ ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები მშვიდობიან გარემოში.

მოახლოებული არჩევნებისათვის და კანდიდატებისათვის საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომრების რეგისტრაციისათვის. შეგახსენებთ! როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პირადობის დამადასტურებელი მოწობის ფასი არ აღემატება 5 ლარს.

აღარ გავაგრძელებ იმაზე საუბარს, რომ პოლიციელს დღეს რთულ სიტუაციაში უხდება თავისი საქმიანობის შესრულება და კანონიერების დაცვა. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ალბათ, ბევრი დარღვევებისაც, ასეა თუ ისეა ყველაფერი რიგზეა და მაინც ის ანდაზა მახსენდება, მტერს რომ გარედან უფსებს თვალებს, შიგნიდან კი მოყვარეს.

### ექიმს ერთ ღამეში 44 თეთრს უხდიან

არანაკლებ რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებს. გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი ღირსეული სპეციალისტია, ამასთანავე ისინი ლეჩხუმის ინტელიგენციას წარმოადგენენ. ამ ადამიანებს ყველაზე ძვირფასი ადამიანის ჯანმრთელობა, მისი „ყოფნა-არყოფნა“ ევალებათ და რამდენი პრობლემები: პირველადი დახმარების სასწრაფო მანქანა, (ამ პრობლემას შეეწირა 25 წლის ფეხმძიმე გოგონა), რენტგენის აპარატი, ხელფასების დავალიანება 11 თვე, საერთო დავალიანება სხვადასხვა ორგანიზაციებთან 28000 ლარი, რეანიმაციის კაბინეტი, ფასიანი სამედიცინო მომსახურება, რისი შედეგიც არის ის, რომ მხოლოდ უკიდურესობის შემთხვევაში ავადმყოფი მიმართავს ექიმს, რასაც ხშირ შემთხვევაში, (მიუხედავად ექიმთა ძალისხმევისა) უბედურება მოჰყვება.

აუტანელი პრობლემებით დახუნძლულ გარემოში მუშაობენ მედიკოსები, მალე დაზამთრდება, პრობლემები კი უფრო იმატებს. მათი გულისტკივილი ხელისუფლებისადმი სამართლიანია, ისინი

*(დასასრული მე-2 გვერდზე)*

*სკოლა*

## ჩემი, შენი, ჩვენი სიამაყე!

მოსწავლეთა ჟრიამულია ცაგერის საშუალო სკოლის ეზოში...

ისევ ახმაურებულა ცოტა ხნით ჩაჩუმებული კაბინეტ-ლაბორატორიები. 125 წლის სკოლა ზეიმობს ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ამ სკოლის „ბებერ“ კედლებში კიდევ ერთი ახალი თაობა ეზიარება მეცნიერებას.

* * *

ცოტა რამ სკოლაზე: ცაგერის საშუალო სკოლა დირექციის ახალი შემედგენლობით . ხვდება ახალ სასწავლო წელს, სკოლა ერთ-ერთი საბაზოა და მას არაერთი სახელოვანი შვილი აღუზრდია. მის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რაიონში არსებული თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილება და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალი, ნაწილობრივ, ამავე სკოლის პედაგოგებითაა დაკომპლექტებული.

დიახ, ეს სკოლა სულ სხვა ინტელექტითაა გარემოცული. ყურადღებას იპყრობს სკოლის დირექტორის კაბინეტისა და სამასწავლებლოს წინ არსებული დაფა, სადაც წარჩინებული მოსწავლეების სურათების გვერდით, სპეციალურად, სასექტემბროდ გამოშვებული კედლის გაზეთები ჰკიდია, რომლებიც ქართულ- რუსულ და გერმანულ ენებზეა შესრულებული. ერთი სიტყვით, სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი, რომ მოსწავლე ცოდნასა და განათლებას დაეუფლოს.

* * *

ტრადიციულად წარიმართა ცაგერის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.: სკოლის კლასგარეშე ორგანიზატორმა დათო ცვარიანმა სასწავლო წლის დაწყება მიულოცა ღონისძიების მონაწილეებს და სიტყვა სკოლის დირექტორს ქალბატონ ნუნუ ჩაკვეტაძეს გადასცა, რომელმაც აღნიშნა, რომ ცაგერის საშუალო სკოლა არ უნდა გახდეს მარტო თავშესაფარი ბავშვისათვის, არამედ უნდა იყოს ცოდნისა და განათლების დაუფლების ერთადერთი ადგილი.

მეტად გულისამაჩუყებელი იყო ღვაწლმოსილი პედაგოგის ქალბატონ მარიამ გამსახურდიას გამოსვლა, რომლის სიტყვებმა ბევრს ცრემლი მოჰგვარა თვალზე.

მოწვეული სტუმრებიდან საინტერესო იყო ამ სკოლის პირველი კუსდამთავრებულის ბატონ შალვა ცვარიანის მილოცვა. აგრეთვე, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამავე სკოლის პედაგოგები ელვარა ბურჯალიანი და ჩიტო ჩაკვეტაძე. პირველკლასელებმა კი ღონისძიებას ელფერი ლექსებით შეჰმატეს.

იყო ბევრი ბევრი ყვავილი, უსაზღვრო სითბო და ღიმილი.

* * *

გადახვევა: ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა სკოლებს გარკვეულ პრობლემებს უქმნის. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავინტერესდით და კომენტარი ვსთხოვეთ ყოფილ პედაგოგს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, ქალბატონ ლუნა სჳანიძეს:—სკოლა სახელმწიფოს ის უჯრედია, რომლის გარეშე ქვეყნის აღმშენებლობა წარმოუდგენელია. აი, რაოდენ დიდი მისია აკისრია. დღეს კი უჭირს მას ბევრი დამაფიქრებელი მიზეზების გამო.

სასწავლო წლის დაწყებამდე განათლების სამინისტროს გადამჭრელი ღონისძიბები არ გაუტარებია, რომ სწავლა ნორმალურად დაწყებულიყო. მთელ რიგ კლასებში თუ საგნებში ჯერ კიდევ არა გარკვეული რომელი ავტორის სახელმძღვანელოებით ისწავლიან ბავშვები. ამავდროულად, მშობლებს მძიმე ტვირთად აწვებით წიგნების ფასები, რა ქნას მშობლებმა, რომელსაც ხშირად სჭირდება უკვე შეძენილი სახელმძღვანელოების გადაგდება და ახლის შეძენა პედაგოგების მიმართ ნასროლი ლოზუნგი „ჩვენი დროის გმირები“ მდგომარეობის ვერ გამოსწორებს. აუცილებელია სათანადო პირობების შექმნა, რომ მასწავლებელ სასურველ სიმაღლეზე დადგეს.

დღეს საგრძნობლადაა შემცირებული კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის, რასაც, ძირითადში, განაპირბებს ქვეყნაში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა.

სკოლა სისტემატურადაა ჩართული რეფორმების ორომტრიალში, რაც ტვირთად აწვება ბავშვებს და პედაგოგებს. რეფორმა აუცილებელია, ოღონდ კარგად მოფიქრებული, დახვეწილი და მიზნობრივი.

მოსწავლეთა სწავლისადმი ინტერესს, დიდად, აქვეითებს ქვეყანაში შექმნილი უამრავი კერძო ინსტიტუტები, სადაც ახალგაზრდებს ღებულობენ არა ცოდნით, არამედ ფულით, ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რომ ბავშვებმა გული აიცრუეს წიგნზე, მაგრამ მის გარეშე ხომ „თვალთახედვის ისარი მოკლეა“. ასეთ შექმნილ მდგომარეობებზე, პირველ რიგში იზრუნოს განათლების სამინისტრომ.

ცხადია, სახელმწიფო უნდა შემობრუნდეს სკოლისაკენ.

* * *

კიდევ ერთი სასწავლო წელი გახდა ამ სკოლის ისტორიის კუთვნილება,

ეზოში, ჭიშკართან მდგარ დაფას ეს სიტყვები ამშვენებს: „ჩემი სკოლა ჩემი სიამაყეა“. მართლაც თამამად შემიძლია ვთქვა, ცაგერის საშუალო სკოლა ჩემი, შენი, ჩვენი სიამაყეა.

**ეკა ყვირილიანი**



„თუ თვით ედემი არ არის ედემის შესადარია“

(აკაკი)

იხ. მე-3 გვ.

*(დასასრული)*

მინიმუმს მოითხოვენ, რომ ელემენტარულად ექიმის მის საშუალება მიეცეს დაუბრკოლებლად მივიდეს ავადმყოფთან და პირველადი დახმარება აღმოუჩინოს. პირველადი დახმარების სასწრაფო მანქანისათვის მიმდინარე წელს ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაგეგმილი იყო თანხა, რომელიც ვერ მოხერხდა, რომ აეთვისებინა საავადმყოფოს და მზადყოფნაში ჰყოლოდა სასწრაფო დახმარების მანქანა. საფინანსო განყოფილების გამგემ ქალბატონმა ნაირა ბერაძემ ციფრებით დაუმტკიცა თავისი სიმართლე მედიკოსებს, თავის მხრივ კი ეს უკანასკნელნი მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ფაქტია, არც სასწრაფო მანქანა „ჩანს" და ვერც ხელფასებს ღებულობენ. საფინანსო განყოფილების გამგემ აღნიშნა, რომ დარჩენილ თვეებში გეგმის შესრულების დიდი იმედი აქვს და ყოველ ღონეს იხმარს, რომ 4500 ლარი, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტშია ჩაგეგმილი პირველადი სასწრაფო დახმარების მანქანის აღსადგენად გამოიყოს.

მინისტრ ა. ჯორბენაძესთან შეხვედრის შემდეგ დაპირებებით დახუნძლული გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი ცაგერის რაიონში ბატონი კ.მუშკუდიანი და ცაგერის რაიონის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ბატონი მურმან თოთაძე. მინისტრი თურმე კოლეგებს უახლოეს მომავალში ანუ მომავალი წლიდან უფასო სამედიცინო მომსახურებას, რენტგენის ახალ აპარატს, პირველადი სასწრაფო დახმარების მანქანას, საფერშლო პუნქტების აღდგენას (დარჩენილ სოფლებში) ჰპირდება: როგორც ბატონმა კარლო მუშკუდიანმა აღნიშნა: „ავთანდილ ჯორბენაძე ალბათ ერთადერთი მინისტრია, რომელიც პატიოსნად, გულისხმიერებით ასრულებს რაც შეუძლია". აქედან გამომდინარე, ყველას თუ არა, შეკრებილთა მაქსიმუმს მაინც იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა, იქნებ დაპირებები შესრულდეს...

## სიურპრიზი ნაშუადღევს

ალპანის საშუალო სკოლაში სექციურ მუშაობაში ჩართული განათლების განყოფილების გამგის ბატონ გულივერ ბრეგვაძისათვის, ცაგერის საშუალო სკოლისა და „გადაღმა ზონის" რამდენიმე ათეული მასწავლებლისათვის სიურპრიზი იყო ხელისუფალთა სტუმრობა. „ქალაქური პრობლემებით" დატვირთული მაჟორიტარი დეპუტატი და რაიონის გამგებელი დიდხანს არ დააყოვნეს პედაგოგებმა. უმთავრეს საკითხებზე მსჯელობამ სულ რამდენიმე წუთი გასტანა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი ლეჩხუმელის ტკივილი არის ის, რომ ლეჩხუმი ჩამოყალიბდეს ცალკე ადმინისტრაციულ ცენტრად. რაიონის დეპუტატს თხოვნით მიმართეს პარლამენტის დღის წესრიგში დააყენოს ეს საკითხი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვა სფეროებთან შედარებით მასწავლებელთა ხელფასების დავალიანებები ნაწილობრივ ანაზღაურებულია, ისინი მაინც მტკივნეულად განიცდიან გასული წლების დავალიანებას,

გაქვთ თუ არა მომავლის რწმენა? ამ კითხვით მიმართა მაჟორიტარ დეპუტატს ერთ-ერთმა მასწავლებელმა. დეპუტატმა უპასუხა: რწმენამ მოიყვანა დღემდე ქართველი კაცი. ურწმუნო ადამიანი არარაობას წარმოადგენს. დღეს, როგორც არასდროს ქართველ კაცს რწმენა სჭირდება, რწმენამ უნდა გადაგვარჩინოს".

აშკარად განმუხტულნი, ნასიამოვნები დავემშვიდობეთ პედაგოგებს, რომლებიც მიუხედავად ზემოთ დასმული კითხვისა, მართლაც რომ მომავლის რწმენითა და იმედით ზრდიან მომავალ თაობებს.

## „უცოდველი კრავები"

ზემოთ აღვნიშნე, დღის მთავარი თემა მოახლოებული არჩევნები არის თქო, მაგრამ ლაჯანურჰესის კასკადში წინასაარჩევნო განწყობა არავის აქვს. ეს არცაა გასაკვირი. ჰესის თანამშრომლები მთელი დატვირთვით მუშაობენ, ისინი ჩვენ დიდ მადლობასაც იმსახურებენ, მაგრამ ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს „ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე", ისინი მოითხოვენ იმ შრომით სარგოს, რომელსაც მართლაც რომ იმსახურებენ.

რაიონის დეპუტატმა თავის გამოსვლაში აშკარა უკმყოფილება გამოთქვა „ლაჯანურჰესის" დირექტორისადმი. მართალია, თვით ამ სისტემაში ყველაფერი დაწყობილი არ არის, რეფორმები მიმდინარეობს, მაგრამ ადგილობრივ ენერგეტიკოსებს ნაკლებად სჯერათ, რომ მინისტრი ოდესმე გაატარებს ენერგოპოლიტიკას.

ხელფასების მიღების ერთ-ერთი ნაცადი ხერხი ენერგეტიკოსებისათვის გაფიცვაა, რომელიც რაიონისათვის შუქის გამორთვით გამოიხატება. აღინიშნა, რომ გაფიცვის ამ ფორმას მნიშვნელობა არა აქვს, „დარდი არავის აქვს, ისევ ჩვენ გვაკლდება, ჩვენ ვზარალდებით".

ჰესის თანამშრომლები კატასტროფულად განიცდიან ხელფასის 17 თვის დავალიანებას. მაგრამ საუბედუროდ კიდევ არის შანსი იმისა, რომ დავალიანებას დავალიანება დაემატოს. ამას კი, როგორ აღნიშნეს " ვეღარ გავუძლებთ. თვე არ უნდა ჩავარდეს."

ჰესი-პატარა სახელმწიფოა. მისი სპეციფიკა მარტივად რომ ვთქვათ ასეთია: იმუშავე, გაყიდე, აიღე და დაარიგე. პირველ და მეორე საქმეს მშვენივრად ართმევენ თავს ენერგეტიკოსები, რაც შეეხება მთავარს—„აიღე და დაარიგე" სახარბიელოდ ნამდვილად არ არის საქმე. რაიონის დეპუტატმა ჰესის მთავარ ბუღალტერს კატეგორიულად მოსთხოვა გაეშიფრა წერილობით, რაში არის დახარჯული თანხები იანვრიდან 1 სექტემბრის ჩათვლით. მთავარმა ბუღალტერმა დეპუტატის მოთხოვნას დუმილით უპასუხა.

თუმც ჰესის დირექტორის ბატონი ვალერი ლომთათიძის სასარგებლოდ აღინიშნა, რომ ჰესის რემონტი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ჩატარდა მისი დამსახურებაა. ერთ თვეში კი კვლავ დაიწყება ჰესის რეაბილიტაციის სამუშაოები.

რაიონის დეპუტატმა აღნიშნა: „ვცდილობ და ვიბრძვი იმისათვის, რომ შეღავათიანი ტარიფები დაწესდეს. რაც შეეხება ხელფასების დავალიანებებს, იქნებ გადახდა იტვირთოს იმან, ვისაც ჰესი მართვის უფლებით გადაეცემა. ამის [illegible] არ არის, რომ საერთოდ არ დაიფაროს ხელფასების დავალიანებები".

ამბობენ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო", მაგრამ არც ისე ადვილი დასაჯერებელია, როცა ჰესის დირექტორი რაიონის დეპუტატს და რაიონის გამგებელს ნებსით თუ უნებლიეთ თავის კოლექტივთან ერთად არ ხვდება, როცა მთავარი ბუღალტერის დაბნეულ გამომეტყველებას უცქერ, ამას ისიც ემატება, რომ წარმოუდგენელია ასეთ დიდ ორგანიზაციაში ყველაფერი აწყობილი იყოს და ისინი „უცოდველი კრავები" იყვნენ.

## ეპილოგი ანუ გაუკეთებს თუ არა დეპუტატი კასრს ფსკერს?

—არჩევნების წინ დაგვპირდით, რომ დიდ კასრს ფსკერს გაუკეთებდით. მოახერხეთ თუ არა ამ ფსკერის გაკეთება? ამ კითხვით მიმართა ერთ-ერთმა ინტელიგენტმა რაიონის დეპუტატს.

—კადრები წყვეტენ ყველაფერს. ჩემი მუშაობა ათჯერ უფრო გამოჩნდებოდა, ადგილები რომ ნორმალური კადრებით იყვნენ დაკომპლექტებული. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის არქონის გამო ჩვენ ბევრი რამ გვაკლდება. ეს უნიათობაა... ჩვენ საშიშროების წინაშე ვდგავართ. არ უნდა არსებობდეს სიტყვა „სიძულვილი" ჩვენ შორის. ყველა ეს პროცესი უკავშირდება იმ კასრს და იმ ფსკერს. რადგან მოახლოებულია არჩევნები, მე გთხოვთ ავირჩიოთ ის ხალხი, რომლებიც იმ ფსკერის გაკეთებაზე მომეხმარება".

ალიონიდან მწუხრამდე რაიონის დეპუტატის თითქმის ყველა გამოსვლაში მუსირებდა აზრი იმის შესახებ, რომ ლეჩხუმი დაავადებულია საშინელი ავადმყოფობით—სიძულვილით. შეგახსენებთ, რომ ეს ავადმყოფობა ავთვისებიანია, მაგრამ საბედნიეროდ მისი განკურნების ერთადერთი შანსი არსებობს... ეს კი ურთიერთსიყვარულია...

**ეკატერინე ბენდელიანი**

* * *



შეხვედრებიდან მობრუნებულებმა გაზეთის რედკოლეგიის წევრებმა ბატონ დეპუტატთან გასაუბრება გადავწყვიტეთ. რაიონული ბიუროს მოსაცდელში ამ დღეებში აუარებელი ხალხი ირევა, მთხოვნელთა რიგს ბოლო არ უჩანს: ზოგი სოფლის გზის პრობლემებს შეუწუხებია, ზოგს აუღებელი პენსიის ბედი აწუხებს, ზოგიერთს მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების პერიპეტიები აინტერესებს.

**ბატონო დეპუტატო! თქვენ მთელი კვირა დაჰყავით რაიონში. ე.წ. აუდიენციაზე უამრავი ხალხი მოვიდა. როგორ „უმასპინძლეთ" თქვენთან შეხვედრაზე მოსულ ლეჩხუმლებს? რამდენად კმაყოფილი წავიდა თქვენგან ეს ხალხი და რამდენად კმაყოფილი დარჩით თქვენ?**

—ჩვენი შეხვედრებიდან უმრავლეობას ყოფითი პრობლემები და მომავალი არჩევნების წარმართვის გზები აინტერესებდა. ჩვენს მოსახლეობაში ჯერ კიდევ ჩაბუდებულა ეჭვისა და უნდობლობის ფაქტორი—ისევ გააყალბებენ. მე, ჩემს ბიუროსთან ერთად დავარწმუნე ადამიანები იმაში, რომ წლევანდელი არჩევნები გაყალბების გარეშე ჩატარდება. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს რაიონის ახალგაზრდებთან შეხვედრა. მჯერა, რომ სულ მალე რაიონის მმართველ რგოლებში მოვლენ ლეჩხუმის ნიჭიერი ახალგაზრდები. მე ამას მივესალმები.

**რაიონში მუსირებს აზრი, რომ თქვენი სტუმრობის ძირითადი მიზანი არის თვითმმართველობის მოახლოებული არჩევნები. არის ინფორმაციაც, რომ ამ არჩევნების კოორდინატორი თავად ბრძანდებით...**

—ჩემი ჩამოსვლის მიზანი არის ამომრჩევლებთან შეხვედრა და ამასთანავე, რადგან მე მთავარ კოორდინატორად დავინიშნე, ბევრი წინასაარჩევნო ორგანიზაციული საკითხებიც მაქვს გადაწყვეტილი. ჩემი უპირველესი მოვალეობაა ადამიანებს დავუბრუნო იმის რწმენა, რომ მათ ნება-სურვილს არავინ შეცვლის და გააყალბებს. მთელ საქართველოში მუსირებს აზრი, რომ ცუდადაა შედგენილი თვითმმართველობის არჩევნების კანონი. მე ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები: მარტო ის რად ღირს, რომ ყოველგვარი პარტიული დაპირისპირება ამოღებულია. ჩვენი რაიონის ამომრჩევლებს შეუძლიათ აირჩიონ ის ადამიანები, რომლებიც თვითონ მოსწონთ და რაიონსაც წაადგებიან.

**—მომავალი არჩევნები ჩვენი ამომრჩევლების ცნობიერებაში მოაზრება ისეთივე, როგორიც წინა... თუ იქნება რაიმე განსხვავებული ანდა რა ბერკეტები არსებობს, რომ თავიდან ავიცილოთ გაყალბება.**

—ჩემი ჩამოსვლისთანავე შევქმენი საარჩევნო შტაბი, რომლის ხელმძღვანელიც, უკვე გითხარით და მე გახლავართ. მთავარ კოორდინატორად სოსო მუშკუდიანი დავნიშნეთ. მუშაობის სწორი წარმართვისათვის გვყავს კვალიფიციური პრესცენტრი, პროპაგანდული მასალების გამავრცელებელი ჯგუფი, იურისტი, ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზატორი, საზოგადოების მისაღებს ხელმძღვანელი. შტაბი გამგეობის შენობაში ფუნქციონირებს, მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ. არჩევნები რომ არ გაყალბდეს, თითოეულ კანდიდატს საუბნო საარჩევნო კომისიებში თითო წარმომადგენელი ეყოლებათ, კომისიებში მონაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიები, ასე, რომ ძალზე მცირე რჩება გაყალბების ფაქტორი.

**—რა ძალა უნდა მოვიდეს თქვენი აზრით არჩევნების შემდეგ—ძლიერი, უფრო სუფთა, უფრო გაბედული თუ ინერტული და ადვილად მართვადი**

—სუფთა, გაბედული, ახალგაზრდობა ვისაც ენდობა, ხალხი ვისაც გაჰყვება.

**—ვსარგებლობთ შემთხვევით—ჩვენ, „ახალი ლეჩხუმლები" რომ ვარსებობთ, მართლაცდა თქვენი დამსახურებაა. ბევრს შეიძლება ყელშიც ვეჩხირებით და თვალშიც ვხვდებით, როგორ ფიქრობთ, ვართ ჩვენ ტრადიციული რაიონული გაზეთის სამართალმემკვიდრენი**

—მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ასე უანგაროდ, ენთუზიაზმით ემსახურებით მკითხველს. მე ვკითხულობ თქვენს ყოველ ახალ ნომერს. ხელის შეშველებაც გაკლიათ და გვერდში დგომაც. მე დღესაც ვთვლი, რომ რაიონი მაინც ინფორმაციულ ვაკუუმშია, რასაც ბეჭდავთ, ყველასთან ესეც ვერ აღწევს. უიმედობა მაინც არ იგრძნოთ, თანდათან ყველაფერი მოგვარდება.

**გმადლობთ!**

**რედაქცია**

## ს კ ო ლ ა

ჩვენს გაზეთს რატომღაც ხშირად საყვედურობენ—რაიონის სოფლის მოსახლეობის ინტერესებს ნაკლებად ასახავსო.. ამაზე დამერწმუნეთ, ყველაზე მეტად ჩვენ, რედკოლეგია ვწუხვართ. იმასაც ვხვდებით—რაიონის სოფლის მოსახლეობას ბევრი ტკივილი და საწუხარი აქვს გაზეთისთვის სათქმელი, მაგრამ ელემენტარულად, ენთუზიამზე მომუშავე ჩვენი ჟურნალისტები, მარტივად რომ გითხრათ, უსახსრობის გამო ახლომახლო მდებარეობებს ვერ სცდებიან.

3 სექტემბრის ადრიან დილას რედაქტორისაგან მიღებულ დავალების შესასრულებლად ალაბედზე მიმავალი, განათლების განყოფილების გამგის, ბატონი გულივერ ბრეგვაძის წყალობით მანქანაში მოვხვდი და ალპანის საშუალო სკოლისაკენ ავიღე გეზი.

### ნათელი დილა პატარა ტკივილით...

14 წლის წინ აგებული ალპანის საშუალო სკოლის შენობა ისევ პეწიანად გამოიყურება. ეზოშიც სისუფთავე სუფევს და სასექტემბრო ზეიმს კოხტად გამოწყობილი გოგო—ბიჭები, პედაგოგები და მშობლები ამშვენებენ. განსაკუთრებული სიხარული ზეიმზე ალპანის გამგებლის ბატონ თენგიზ ბურჯალიანის დასწრებამ გამოიწვია. თუ რატომ ამაზე ცოტა ქვემოთ...

სასექტემბრო ზეიმზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ალპანის საშ. სკოლის დირექტორი ქალბატონი სულიკო ფრუიძე. მან ახალგაზრდებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და პირველკლასელები მოიხმო თავისთან მოსწავლის ბილეთების გადასაცემად..

პირველი ტკივილი ამ ლამაზ დღეს მაშინ ვიგრძენი, როცა ქალბატონ სულიკოსთან სამიოდე პირველკლასელმა მიირბინა და ცოდნის წყურვილით ანთებული თვალებით გადახედეს მათ პირველ „საბუთს"—მოსწავლის ბილეთს. მხოლოდ სამიოდე..საით მივდივართ? ხვალ რა იქნება?..

### სოფლის გამგებელი—სკოლის ქომაგი

ქალბატონმა სულიკომ თავის გამოსვლაში განსაკუთრებული მადლიერებით სოფლის გამგებელი, ბატონი თენგიზ ბურჯალიანი მოიხსენია. სწორედ მისი დამსახურება ყოფილა თურმე იმ დღისთვის პედაგოგებს ცარცი, საწერკალმები და სკოლისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთები რომ შეუძენიათ.

თვით გამგებელმა თავის გამოსვლაში პედაგოგებსა და მოსწავლეებს მილოცვასთან ერთად სამომავლო დახმარების იმედიც მისცა და შემდგომ თანამშრომლობასაც დაჰპირდა.

პირველი ზარის წკრიალზე საგანგებოდ შელამაზებული საკლასო ოთახებისკენ გაეშურა დიდი და პატარა.

### პრობლემებით დახუნძლული ყოველდღიურობა

სამწუხაროდ ყველაფერი ასე ლამაზად არც იწყება და არც მთავრდება. პრობლემებით დახუნძლული სკოლაც, დირექტორიც, მოსწავლეები და სოფელიც. ბევრი რამ სტკივათ, აწუხებთ.

ჩვენთან საუბარი ქალბატონმა სულიკომ სწორედ ძირითადი სატკივარით—კონტიგენტით დაიწყო:

—„უმომავლოდ არაფერი არსებობს! დღითიდღე თითებზე ვითვლით ბავშვებს. წელს მხოლოდ 64—მა მოსწავლემ შემოაღო სკოლის კარი. აი, ხომ ნახეთ—პირველ კლასში სამი ბავშვი მოვიდა... იქნება წლები, როცა არც ერთი ბავშვი არ იქნება დაწყებით ჯგუფებში".

## „უმომავლოდ არაფერი არსებობს"

განსაკუთრებულ გულისტკივილით ითქვა სკოლის სარემონტო სამუშაოებზე:—„ჩვენ თვითონ გვიკვირს როგორ ვახერხებთ ასეთი უსახსრობის პირობებში სკოლის იერსახის შენარჩუნებას. შევღებეთ კედლები, იატაკები, მერხებიც შევაკეთეთ. სკოლის დერეფნებში ბათქაში ჩამოიყარა, შენობას მალე მიშველება დასჭირდება, მშველელი არ ჩანს. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ მხოლოდ გარეგნული, ერთჯერადი კოსმეტიკაა და სხვა არაფერი.

გული მტკივა „ლაჯანურჰესის" მესვეურთა უყურადღებობაზე—ნუთუ პატარა მიხმარება მაინც არ შეუძლიათ?"—და აქვე ქალბატონი სულიკო სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როცა ზემოთხსენებული საწარმოს ბატონი ემზარ ჩარხიანი თავკაცობდა. მას თურმე არც სასექტემბრო ზეიმი გამოეპარებოდა, არც ბოლო ზარი და არც სკოლის ეზოში გაფუჭებული ონკანიც კი–

**თენგიზ ბურჯალიანი**—ალპანის სოფლის გამგებელი: „ბევრი რამით მინდა დავეხმარო სკოლას, ვერ ვახერხებ. წელს, სულ რაღაც 60 ლარიც ძლივს გამოინახა. ეს იქნებ აღსანიშნიც არაა, მაგრამ მცირედად ხომ წაადგა ჩემს პედაგოგებს, მოსწავლეებს. ჩვენ რომ სრულად ვახერხებდეთ სოფლში გადასახადების ამოკრებას, შეიძლება მეტიც გავიღოთ".

ბატონი გამგებელი გულისტკივილით შეეხო ალპანის საბავშვო ბაღის თემასაც:—„საბავშვო ბაღი სოფლისთვის აუცილებელია. ბავშვები უფრო მომზადებული ხვდებიან სკოლას. წელს არ გაიხსნა იგი, რადგან მხოლოდ 12 ბავშვია, რეფორმით კი ჯგუფი 15 ბავშვზე იხსნება თურმე. საგანგაშოა გამრავლების საკითხი–ბოლო ორ წელიწადში ალპანის საკრებულოს ტერიტორიაზე (მასში ექვსი სოფელი შედის?!) სადღაც სამი—ოთხი ჩვილი შევვეძინა".

ამ ციფრმა შემძრა. მალე თუ ასე გაგრძელდა ამ სოფელში ალბათ არც ბაღი იქნება საჭირო და არც სკოლა.

### სკოლასა და ბავშვებზე შეყვარებული თაობათა ცვლა

ჩვენს საუბარს ბატონი **დიომიდე ხვადაგიანი**, ღვაწლმოსილი პედაგოგი შემოუერთდა:—

—„სამიოდე ხანდაზმული პედაგოგიღა შემოვრჩით სკოლას. ჩვენმა დირექტორმა, ქალბატონმა სულიკომ ისეთი კოლექტივი შეკრა, ვერაფრით შევლიე მათ და წლების მანძილზე მიღებული გამოცდილებით გვერდში ვუდგავარ. მეც ვჭირდები ალბათ სკოლას, მეც მჭირდებიან ბავშვები. დღეს მე ახალი ძალით შევივსე".

სკოლას არც ახალგაზრდა კადრი აკლია, ქალბატონი **მაია ფრუიძე** გერმანულ ენას ასწავლის აგერ უკვე მეექვსე წელია:

—„ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მივედი ალპანის სკოლაში. სულიკო ფრუიძემ ყოველგვარი პირობა შემიქმნა ჩემი უნარის გამოსავლენად. შესაშური კოლექტივია, ბავშვებიც. ტექნიკური თვალსაჩინოების ნაკლებობას კი განვიცდით, მაგრამ შეუძლებელი მაინც არაფერია".

ამ სკოლის მოსწავლეები მონდომებულნი არიან სწავლაზე.

**ლევან ფრუიძე**—XI კლასის ფრიადოსანი მოსწავლე—„დიდი სიხარულით მოვდიოდი მშობლიური სკოლისკენ. მართლაც ძალიან მიყვარს აქაურობა, მეგობრები, პედაგოგები. აქ სხვაგვარი სითბო ტრიალებს. ძალიან მონდომებულნი ყველანი. გართობითაც კარგად ვერთობით, სპორტული მოედანიც მწყობრში გვაქვს. ერთი სიტყვით, თუ მოვინდომებთ, აქ ყველა პირობაა სწავლისათვის".

### ბოლოთქმა

ნამდვილი სასექტემბრო განწყობა ნელნელა მიინავლა. ბავშვები სკოლის ჩვეულ რიტმში ჩაჯდნენ. ჩვენც დავემშვიდობეთ ამ მართლაც თბილ და ინტელექტუალურ კოლექტივს, სოფელს, მათი ტკივილიც თან წამოვიღეთ და.. თქვენც მიღებული ემოციების თანაზიარი გავხადეთ, ჩვენო ერთგულო მკითხველო.

**მარინა სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფელი

**ქვეყნის სიყვარული საკუთარი სოფლიდან იწყება, თუ საკუთარს კარგად არ იცნობ, ვფიქრობ, ადრეა სხვისი სამშობლოს ისტორიით და ღირსშესანიშნაობებით დაინტერესდე.**

**ჩვენ კი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პატარა, მაგრამ მშვენიერი ლეჩხუმიდან უნდა დავიწყოთ, მისი ყველა სოფელი ხომ თავისთავადი და ინდივიდუალურია, ზოგი მათგანი კი წლების და ისტორიის ბევრ საიდუმლოსაც ინახავს.**

**ჩვენი სოფლების შემოვლა ლაილაშიდან დავიწყეთ. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, იგი დიდხანს, კერძოდ კი 1883 წლამდე გახლდათ ლეჩხუმის სამაზრო ცენტრი.**

### ლაილაშის ისტორიიდან

ადრეულ საუკუნეებში რაჭა-თაკვერ-სვანეთის დამაკავშირებელი გზა ლაილაშზე გადიოდა „ძველისთავზე“ გამოვლით.

ჩვენი ისტორიის უძველეს წყაროებში ლაილაში ქალაქად მოიხსენიება. ახლაც, სოფლის ერთ-ერთი ადგილი „ქალაქის თავად“ იწოდება. არ არის გამორიცხული, რომ ეს სახელიც ებრაელთა დასახლებასთან იყოს დაკავშირებული, რადგანაც მათი დასახლების კომპაქტურობა და საქმიანობა ქმნის ქალაქური დასახლების ტიპს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ ებრაელ ხალხთან ერთად ამ სოფელში სომხებიც ცხოვრობდნენ. ასე რომ, აქ თავს იყრიდნენ სამი ერის წარმომადგენლები: ქართველთა, სომხთა და ებრაელთა.

ისტორიამ თავისი განაჩენი ლაილაშსაც გამოუტანა და სამოსავლო გზების სამხრეთით გადანაცვლებამ (ე.ი. ახლანდელი) სოფელი ჩიხში მოაქცია, ფაქტობრივად, აქედან დაიწყო მისი დაღმავლობა, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში სოფლის პრიმატული მდგომარეობა ლეჩხუმის სინამდვილეში ებრაელთა ძალისხმევით იქნა შენარჩუნებული, რომელთა ლაილაშში მოსვლის თარიღი, სამწუხაროდ, დადგენილი არაა ისინი ძირითადად სოფლის ცენტრში და მის შემოგარენში ცხოვრობდნენ, მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა და შიდა რეწვა იყო. მათმა მჭიდრო დასახლებამ გამოიწვია ის, რომ 1913 წ გაჩენილმა ხანძარმა ბევრი ებრაელი დატოვა ბინისა და სარჩოსაბადებლის გარეშე, რამაც გამოიწვია მათი სოფლიდან წასვლა, შემდეგი უფრო მთავარი მიზეზი გახდა ბოლშევიკთა მკაცრი რეჟიმი ვაჭრობისა და კერძო მრეწველობის მიმართ, რომელთა გარეშეც მათ ცხოვრება არ შეეძლოთ. ამან განაპირობა ის, რომ ამ სოფელში მცხოვრები 300 ოჯახიდან დღეს აღარცერთი აღარ დარჩა.

იდუმალებითაა მოცული სოფელში მდებარე სინაგოგის აგების თარიღი, მისი სიძველის საბუთი გახლავთ სინაგოგაში ნაპოვნი უძველესი ბიბლია, რომლის მსგავსი მხოლოდ ალეპოს კლდეშია ნაპოვნი VIII საუკუნეში. იგი ლიტერატურაში ლაილაშური ბიბლიის სახელით დამკვიდრდა.

### ასეთია ჩვენი მცირე ექსკურსი...

დღეს კი ოდესღაც ახმაურებული, სიცოცხლით სავსე ლაილაში ჩამყუდროებულა თავის პრობლემებში, წარსულის ნოსტალგიით საზრდოობს და წინ ვერც თუ იმედიანად იყურება. ორღობე-ქუჩაბანდებში სიმშვიდეს დაუსადგურებია, ყველაზე მეტად გულს მდუმარე, ბოქლომდადებული სახლები ხვდება. ასეთი სახლები აქ გაცილებით მეტია, ვიდრე ლეჩხუმის ნებისმიერ სხვა სოფელში ზემოთაღნიშნულ თუ სხვა ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებათა გამო.

სოფლის საკრებულოში რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა პირად საქმეზე მოსული.

## „თუ თვით ედემი არ არის ედემის შესადარია“...

*(აკაკი)*

საკრებულოს გამგებელთან ბატონ სოსო გოლოძესთან და სხვებთან ჩვენი საუბარი სოფლის დღევანდელ რეალურ სურათს შეეხო.

ყველაზე ცუდი ისაა, გულისტკივილით გვითხრეს და ჩვენც ვეთანხმებით, რომ ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა დაუსაქმებელია, ან კი სად უნდა იმუშაონ. და ისინიც სოფლის ცენტრში, ე.წ. „ბაზარში“ თუ შეიყრიან თავს ყოველდღიური რუტინით გადაღლილები დროის მოსაკლავად ან დასასვენებლად.

ლაილაშის რეგიონი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით დალებითად მოიაზრებოდა. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ შეძრწუნდა სოფელი, როცა ჭილეშის მახლობლად, დღისით, მზისით ქუთაისი-ლაილაშის მარშრუტის ავტობუსის მგზავრები დააყაჩაღეს. დამნაშავის კვალს მიაგნესო, მაგრამ ერთი კითხვა გაგვიჩნდა: ემსახურება თუ არა ლაილაშს და მის მიმდებარე სოფლებს პოლიციის თუნდაც ერთი წარმომადგენელი, როგორც განმარტეს, ორბელის უბნის რწმუნებული კურირებს სოფლებს, მაგრამ თუნდაც ტერიტორიული სიშორის, თუნდაც სხვა პრობლემების გამო არა გვგონია სრულყოფილად შესრულოს თავის მოვალეობა.

სოფლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა გზა, განსაკუთრებით გზა ჭილეშიდან ლაილაშამდე. სპონსორების (დათო, მამუკა ჩაჩხიანების და სხვათა) წყალობით გზის ეს მონაკვეთი შეკეთდა და ნორმალურია მიმოსვლისათვის. ამიტომაც შეუფერხებლად მოძრაობს ყოველდღიური ავტობუსი ქუთაისი-ლაილაში.

***

დავინტერესდით მიწის განაწილების საკითხით, რამეთუ ეს საარსებო მნიშვნელობისაა სოფლად. პროცესი ნორმალურად წარიმართა და დარეგულირდა. სოფლის ფონდიდან გამომდინარე პირველი კატეგორიის კომლი ერთ ჰექტარ მიწას ფლობს, რაც გულით მშრომელი გლეხკაცისთვის არ არის ცოტა. ამდენად, კონფლიქტები, დავები ამ მიმართულებით თითქმის არ არის. საკრებულოს ძირითადი შემოსავალი მიწის გადასახადისაგან ამოღებული თანხაა, ისიც 70 პროცენტი. ამიტომ საკრებულოს არანაირი მატერიალური საშუალება არ გააჩნია თუნდაც ელემენტარული დახმარება გაუწიოს სოფლის გაჭირვებულთ. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მის სამომავლო გეგმებზე ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებითა და ძალისხმევით ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ საკრებულოს კიბეებზე კანტი-კუნტად თუ ადიან ადამიანები, კანტიკუნტად თუ შემოდის განცხადებები.

სოფლის ხელმძღვანელობა, ინტელიგენცია მომავალს ტურიზმის განვითარებას უკავშირებენ. ამისათვის ლაილაში ზედგამოჭრილია თავისი ისტორიით, წარსულით, ქართული, სომხური ეკლესიებით, სინაგოგათი, რომლებიც კვლავაც ამჟამად დგანან როგორც სიმბოლო ძმობის, მეგობრობის, სჯულის ურთიერთ-პატივისცემის. ამას პლუს ლაილაშის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნება, ჰავა, წყლები და ა.შ.

ორი წლის წინათ სოფელს მისივე მკვიდრი ებრაელი შალვა მარდი (მარდახიაშვილი) სწვევია. მსოფლიო დონის ქირურგი (ცანის კიბოს მკურნალი) ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს. კლინიკები აქვს ამერიკაში, ისრაელში, იტალიაში (აქ 30 ჰექტარ ვენახს ფლობს). ბატონ შალვას შეუქმნია წიგნი „ლაილაშიდან შვეიცარიამდე“. სოფელი უდიდესი სითბოთი შეხვდა თავის კალთაში გამოზრდილ შვილს, რომელმაც გულისფანცქალით მოინახულა მშობლიური ეზოკარი, წინაპართა საფლავები, რიდით შეაბიჯა სინაგოგაში, ილოცა ცოცხალთათვის და წინაპართა სულის მოსახსენიებლადაც.

შალვა მარდმა დაპირება დაუტოვა სოფელს დაეხმაროს ტურიზმის აშენება-დაფინანსებაში და ცოცხლობს სოფელი იმედით, მისივე გაზრდილი შვილების დაპირებათა აღსრულების იმედით...

სოფლის კლუბითა და ბიბლიოთეკითაც დავინტერესდით. ბიბლიოთეკარის, კულტურის გამოცდილი მუშაკის, ენერგიული ქალბატონის რიტა თვარაძის ძალისხმევით ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნადი ფონდი მკითხველის სამსახურშია. იგი ძველებურის რუდუნებითა და პასუხისმგებლობით აკეთებს თავის საქმეს, თუმც გულისტკივილიც არ დაგვიმალა, რომ არასრულ შტატზე მუშაობს.

თაბორსა და სურმუშში გასაგები მიზეზების გამო ვერ მოვახერხეთ მისვლა. თუმცა ამ სოფლების სატკივარისთვისაც არ აგვივლია გვერდი. ავარიულია სურმუშის დაწყებითი სკოლის შენობა. შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ დღევანდელ სიდუხჭირის ჟამს სკოლის მშენებლობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ მიმდინარე რემონტი გადაუდებელია. ამ კედლებში სოფლის მომავალი ყალიბდება და მნიშვნელობა არა აქვს რამდენი ბავშვი სწავლობს. მისახედია აგრეთვე ჭილეშ-სურმუშის სასოფლო გზა.

სოფლის საფიქრალს წლევანდელი მოუსავლიანობაც დაერთო, გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო,—წუხან ლაილაშელები.

საკრებულოდან გეზი ლაილაშის საშუალო სკოლისკენ ავიღეთ.

საოცარი ისტორია აქვს სკოლას. შენობა ებრაელთა მეცენატობით აგებულა, მაგრამ სოფლიდან სამაზრო ცენტრის გადატანის შემდეგ აქ სკოლა დამკვიდრდა. ერთ მერხზე სწავლობდნენ სამი ეროვნების ბავშვები: ქართველები, ებრაელები და სომხები.

სკოლა მოწმეა იმ დიდი ურთიერთობისა, რომელსაც პრეცედენტი არ მოეპოვება ლეჩხუმში და არა მარტო ლეჩხუმში... როდესაც ამბობენ, რომ ლაილაშის სკოლა ერთ-ერთი უძლიერესი იყოო წარსულში, ამას განაპირობებდა, სწორედ, მრავალეროვნება, სადაც შერწყმული იყო ქართული ნიჭი და თავმოყვარეობა, ებრაული ნიჭისა და ჭკუის სინთეზი, სომხური ნიჭი და უნაპირო ინტერესი. იმ შეიძლებოდა ამ ნაერთის თავისი გამოხატულება სწავლის ხარისხში არ ეპოვა.

ლაილაშის სკოლა ვიზუალურადაც შესაშურია ლეჩხუმში არსებულ სხვა სკოლებთან შედარებით: სკოლა შარშან საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროგრამით გარემონტდა. სარესტავრაციო სამუშაოები კი შეასრულეს ტენდერში გამარჯვებულმა ცაგერის „სოფლმშენკომპლექსის“ მშენებლებმა. (ხელმძღვანელი სოსო თვარაძე).

სკოლას საკმაოდ ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდა პედაგოგი ალეკო გიორგობიანი ხელმძღვანელობს, რომელიც ამავე სკოლის კურსდამთავრებული გახლავთ. პედაგოგების თქმით, იგი ღირსეული გამგრძელებელია ღვაწლმოსილი წინამორბედის ბატონ ნოდარ მესხაძის.

როგორც რაიონის სხვა სკოლებში, ერთადერთ პრობლემად აქაც მოსწავლეთა კონტიგენტი რჩება. წელს პირველ კლასში, მხოლოდ 3 მოსწავლე მიიღეს, რასაც მტკივნეულად განიცდიან პედაგოგები.

სკოლა გამორჩეული იმითაცაა, რომ აქ ინგლისური ენა ისწავლება,



თუმცა ეს წარსულში, რადგან დღეს სკოლას არ ჰყავს სპეციალისტი და რა თქმა უნდა, უცხო ენის გაკვეთილები არ ტარდება.

ანალოგიური სიტუაცია შეიქმნება სულ მალე რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, ღვაწლმოსილი მასწავლებელი ბატონი ნოდარ გაბიანი ბავშვების სიყვარულისთვის, ჩვენი რიდისა და პატივისცემისათვის ვერ ტოვებსო სკოლას—გვიხსნის დირექტორი.

ჩვენ სათითაოდ შემოვიარეთ თითქმის, ცარიელი საკლასო ოთახები. დასანანია, რომ ასეთ ლამაზ, მშვენიერ ოთახებში შესაბამისი ავეჯი არ დგას.

სკოლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ სოროსის ფონდს უნდა შემოეტანა საჭირო ინვენტარი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ჩანს... ვინ იცის, ეგებ სხვას ჰქონდეს ჩვენთვის განკუთვნილი დახმარება ათვისებულიო—აცხადებენ პედაგოგები.

ლაილაშის სკოლიდან გამოსულებმა შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვით და ღვაწლმოსილი პედაგოგი, ყოფილი სკოლის დირექტორი, დღესაც გონებანათელ და მუხლჩაუხრელი კაცი, ნოდარ მესხაძე მოვინახულეთ და გავესაუბრეთ:

ხალხს უჭირს ძალიან, იმედი დაკარგა, მე უზარმაზარი ომისა და გაჭირვების გამომვლელი ვარ, მაგრამ რწმენამ გადაგვარჩინა, თუ უჭირდა, ყველას უჭირდა. ახლა კი კონტრასტული განსხვავებაა. ამან გული გაუცივა ხალხს.

სკოლას უჭირს. ერთი რამ კეთდება. თითქოს ხელფასები მოწესრიგდა წინა პერიოდისგან განსხვავებით. რაც კეთდება სკოლაში—ეს მასწავლებლის გმირობის ფასად. ბავშვს სასწავლო ნივთები არა აქვს. ეს სატელევიზიო დებატები ხალხს გულს უტეხს, იგი უკეთესს ელოდა და უარესი მიიღო. პენსია, ეს პენსიაა? ასეთი ხელფასი მონათმფლობელობის დროს გლადიატორს არ ჰქონდა.

ჩვენ რა გვეშველება? ხალხს რა შეუძლია. ჯერ-ჯერობით, რაც ითქვა, ტყუილი დაპირებებია, მოჩვენებითია ყველაფერი. დრო, დრო უნდა ყველაფერს. ხელისუფლებამ ან კურსი უნდა შეცვალოს ან თვითონ უნდა შეიცვალოს.

სკოლა დავტოვე, უდიდესი ტკივილით უაღრესად დამცირებულად ვგრძნობდი თავს, როგორც ადამიანი, როგორც პედაგოგი. ეს პრობლემა რომ არ ყოფილიყო, სულ ცოტა 5-6 წელი მაინც ვიმუშავებდი.

რეფორმებმა რა შეცვალეს?—ვეკითხებით ღვაწლმოსილ პედაგოგს.

რეფორმები მოდაში შემოვიდა. ყველაფერი ბლეფი იყო, ატესტაციაც ბლეფია...

სკოლის ცოცხალი მემატიანე ბატონი ნოდარ მესხაძე სოფლის ისტორიაზე, წარსულზეც, მომავალზეც გველაპარაკა. სულგანაბული ვუსმენდით ამ ბევრისმნახველ, საუცხოო მოქართულე, პატივსაცემ პიროვნებას. ვუსმენდით და ვფიქრობდით—დიდხანს იყავით ბატონო ნოდარ სოფლის იმედად, მემატიანედ!

კვლავ მივუყვებით სოფლის შარა-გზებს. ჭიშკრის ჭუჭრუტანებიდან კი პატარა ონავრების ბრიალა თვალები შემოგვეფეთა. კოხტა ოდა შენობაში საბავშვო ბაღის გამგე, ქალბატონმა მარინა ფალავანდიშვილმა შეგვიპატიჟა, სიძველისაგან ნაიარევ შენობაში შესულთ თვალშისაცემი სისუფთავე და კოპწიად დალაგებული ძველისძველი სათამაშოები მოგვხვდა.

საბავშვო ბაღში 15 ბავშვი ირიცხება, პრობლემები კი ულევი, მაგრამ ბაღის გამგე თავისი კოლექტივით საოცარი ენერგიით უმკლავდება პრობლემებს, ამაში კი მას მშობელთა დიდი მხარდაჭერაც აქვს.

მრავალეროვან პატარა სოფელში ყველას თავისი სალოცავი და რწმენა ჰქონდა, რაც რელიგიურ შუღლში არასოდეს გადაზრდილა. ებრაელებმა ამ სოფელში პატარა მინიატურული ისრაელი ჩამოაყალიბეს, მათთვის სინაგოგაში ხახამი ივრითულ ენაზე ატარებდა წირვა-ლოცვას.

ლაილაშური ბიბლია არამარტო ჩვენი კუთხის, არამედ მთელი საქართველოს განძია, რომლის ტანდემი სირიაში, ალეპოს მთაზე არის. დღესაც სოფელი ზრუნავს იმისთვის, რომ სულიერი ცხოვრება გამოცოცხლდეს. ლაილაშლების შემწეობით წმინდა გიორგის სახელობის ნანგრევებად ქცეული ტაძარს რესტავრაცია უკეთდება, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ გიორგობისთვის დაამთავრებენ. რაც შეეხება სომხურ ტაძარს, სიძველისაგან ნანგრევებად ქცეულა, რომელსაც ჩვენი აზრით, მოვლა-გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება, როგორც ისტორიულ ძეგლს.

### რეზიუმე

***მთაბექლილებით დატვირთული გამოვეშურეთ ლაილაშიდან, ამ ფაქტობრივად, ძველი ქალაქიდან, თანაც თვალს ვეღარ ვწყვეტდით უკან მოტოვებულ ქუჩა-ბაღებს, სოფლის ორღობეებად ბოლომდე რომ ვერ გადაქცეულან, ასწლოვანი კაკლის ხეები და ზოგან გამოკეტილი, მაგრამ იდუმალებით მოცული ძველი სახლები, თითქოს კვლავ ჩაგვესმოდა ოქროხიშის წყაროს ყურთასმენის დამატკბობელი რაკრაკი, წამოვედით და თან წამოვიყვანეთ სახელოვანი ისტორიული წარსული და ხალხის დღევანდელი სატკივარი. ჩვენს ცნობიერებაში ხომ ლაილაში სოფელი მუზეუმია, რომელსაც ძალიან უჭირს დღეს.***

*P.S. მასალის მომზადებაში დახმარება გაგვიწია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და მისმა ხელმძღვანელმა ომარ ჭაბუკიანმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას. მანვე მოგვაწოდა ნოდარ მესხაძის ნაშრომი.*

*რედაქცია*

# №45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება №1

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოების 2001 წლის 4 ნოემბრის არჩევნებისათვის №45 ცაგერის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ.**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად №45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

1. №45 ცაგერის საარჩევნო ოლქი დაიყოს 31 საარჩევნო უბნად, დამტკიცდეს მათი განთავსების ადგილი და შესაბამისი საზღვრები, მათვე მიენიჭოს შესაბამისი ნომრები (სია თან ერთვის).

2. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ ლეჩხუმში“.

**№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ლარცულიანი**
**მდივანი მ. ლეთოდიანი**

## დანართი №1

### №45 ცაგერის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი საარჩევნო ოლქები

45/01—ქ. ცაგერის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—საზღვრები: მთლიანად ქალაქი

45/02—ალპანის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—საზღვრები: სოფ. ალპანა, აჭარა, ზოგიში, ცაგერა, ზედა საირმე, ქვ. საირმე

45/03—ალვის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ალვი, კენაში

45/04—ზუბის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ზუბი, ისუნდერი, მახურა

45/05—ლაილაშის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ლაილაში, თაბორი, სურმუში, ლუ

45/06—ლასურიაშის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ლასურიაში, დეხვირი, ლესინდი, მახაში

45/07—ლუხვანოს თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ქვედა ლუხვანო, ზარაგულა, ზედა ლუხვანო

45/08—ნაკურალეშის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ნაკურალეში, ცხუკუშერი

45/09—ორბელის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ორბელი, კურცობი, ლაცორია, ლაჯანა, გაგულეჩი, ლეშკედა, სპათაგორი, წილამიერი

45/10—ოყურეშის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ოყურეში, ოფიტარა

45/11—ტვიშის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ტვიში, ორხვი, ქორენიში

45/12—უსახელოს თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—უსახელო, ხოჯი

45/13—ქვედა ცაგერის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ქვედა ცაგერი, გვესო, ლასხანა, ჩხუტელი, ჰალისთავი

45/14—ღვირიშის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—ღვირიში, ნასპერი, სანორჩი, უცხერი

45/15—წიფერჩის თემის 5 მანდატიანი საარჩევნო ოლქი—წიფერჩი, ბარდნალა, ლარჩვალი, ჩქუმი, ქულბაქი

**№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ლარცულიანი**
**მდივანი მ. ლეთოდიანი**

# №45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება №2

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოების 2001 წლის 4 ნოემბრის არჩევნებისათვის №45 ცაგერის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ.**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 115 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

საოლქო საარჩევნო კომისია

ადგენს:

1. რაიონის ტერიტორიაზე შეიქმნას 15 ხუთმანდატიანი საარჩევნო ოლქი (თან ერთვის).

2. შექმნილი საარჩევნო ოლქების სია გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ ლეჩხუმში“.

**№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ლარცულიანი**
**მდივანი მ. ლეთოდიანი**

## დანართი №2

### №45 ცაგერის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები

01/01—ქ. ცაგერის საარჩევნო უბანი—საზღვრები, ქალაქის სამოქმედო ტერიტორია—ცენტრი-ცაგერის საშუალო სკოლა

02/02—ალპანის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ალპანა, აჭარა ცენტრი—ალპანის კულტურის სახლი

02/03—ზოგიშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ზოგიში, ცაგერა—ცენტრი—ზოგიშის დაწყებითი სკოლა

02/04—საირმის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ზედა საირმე, ქვედა საირმე, ცენტრი—საირმის სასოფლო კლუბი

03/05—ალვის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ალვი, კენაში, ცენტრი—ალვის სასოფლო კლუბი

04/06—ზუბის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ზუბი, ცენტრი—ზუბის საშუალო სკოლა

04/07—ისუნდრის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ისუნდერი, მახურა-ცენტრი ისუნდრის სასოფლო კლუბი

05/08—ლაილაშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ლაილაში, სოფელი ლუ, ცენტრი—ლაილაშის სასოფლო კლუბი

05/09—თაბორის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი თაბორი, ცენტრი—თაბორის არასრული საშუალო სკოლა

05/10—სურმუშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი სურმუში, ცენტრი—სურმუშის ბიბლიოთეკა

06/11—ლასურიაშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ლასურიაში, ცენტრი—ლასურიაშის საშუალო სკოლა

06/12—დეხვირის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი დეხვირი, ლესინდი, ცენტრი—დეხვირის სასოფლო კლუბი

06/13—მახაშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი მახაში, ცენტრი—მახაშის არასრული საშუალო სკოლა

07/14—ლუხვანოს საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფლები ქვედა ლუხვანო, ზედა ლუხვანო, ზარაგულა, ცენტრი—ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლა

08/15—ნაკურალეშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ნაკურალეში, ცხუკუშერი, ცენტრი—ნაკურალეშის საკრებულო

09/16—სპათაგორის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი სპათაგორი, ლაცორია, ლეშკედა, ცენტრი—ლაცორიის სასოფლო კლუბი

09/17—ლაჯანის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ლაჯანა, გაგულეჩი, ცენტრი—ლაჯანის კლუბ-კანტორა

09/18—ორბელის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ორბელი, კურცობი, ცენტრი—ორბელის საბავშვო ბაღი

09/19—წილამიერის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი წილამიერი, ცენტრი—წილამიერის კლუბი

10/20—ოყურეშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ოყურეში, ცენტრი—ოყურეშის საშუალო სკოლა

10/21—ოფიტარის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ოფიტარა, ცენტრი—ოფიტარის დაწყებითი სკოლა

11/22—ორხვის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ორხვი, ცენტრი—ორხვის არასრული საშუალო სკოლა

11/23—ტვიშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ტვიში, ლახეფა, ქორენიში, ცენტრი—ტვიშის საშუალო სკოლა

12/24—უსახელოს საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი უსახელო, ხოჯი, ცენტრი—უსახელოს არასრული საშუალო სკოლა

13/25—ჩხუტელის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ჩხუტელი, ლასხანა, დოღურაშის დასახლება ცენტრი—ჩხუტელის საშუალო სკოლა

13/26—ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ქვედა ცაგერი, გვესო, ჰალისთავი, ცენტრი ქვედა ცაგერის სასოფლო კლუბი

14/27—ღვირიშის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ზედა და ქვედა ღვირიში, ცენტრი—სასოფლო კლუბი

14/28—უცხერის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი უცხერი, ცენტრი სასოფლო კლუბი

14/29—ნასპერის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფლები ნასპერი, სანორჩი, ცენტრის ნასპერის სასოფლო კლუბი

15/30—წიფერჩის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი წიფერჩი, ბარდნალა, ლარჩვალი, ცენტრი—ბარდნალის საშუალო სკოლა

15/31—ჩქუმის საარჩევნო უბანი—საზღვრები სოფელი ჩქუმი, ქულბაქი, ცენტრი ჩქუმის სასოფლო კლუბი

**№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ი. ლარცულიანი**
**მდივანი მ. ლეთოდიანი**

# ჭეშმარიტი მამულიშვილის პორტრეტი მიხეილ (მიშა) გვიშიანი

ლეჩხუმი საქართველოს ერთი პატარა კუთხეა, მისი წიაღიდან არაერთი ღირსეული მამულიშვილი გამოვიდა: სახელმოხვეჭილი მეცნიერები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფოსი, მარშალი, გენერლები, ქართველი ხალხის საყვარელი ლადო—აი, არასრული ჩამონათვალი დიდი ადამიანებისა.

მაგრამ მე მინდა ერთ ობოლ ორბელელ ბიჭზე გიამბოთ, რომელმაც ცხოვრების საინტერესო გზა განვლო და „ხელთუქმნელი ძეგლი“ დაგვიტოვა.

მისი სახელია მიშა (მიხეილ) გვიშიანი, დაიბადა 1930 წელს ორბელში. დედა მასზე მშობიარობას გადაჰყვა, მამაც მალე გარდაიცვალა. ჩვილის აღზრდა მამიდამ—მარო გვიშიანმა ჭილვარიამ და ბაბუამ—გიგოლა გვიშიანმა იტვირთეს. ორბელის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა. ბავშვობიდანვე შრომაში, შემდეგ სამხედრო სამსახურში ნაწრთობმა, ჯანღონით სავსე ყმაწვილმა 1952 წელს ლაჯანურჰესის მშენებლობაზე მოსინჯა ძალა ჯერ მუშად, მძღოლად, სასადილოს გამგედ, შემდეგ დიდ სახერხ ქარხანას თავკაცობდა.

ენერგიული, ინიციატივიანი ახალგაზრდა მშენებელთა მრავალათასიანი, ინტერნაციონალური კოლექტივის კომკავშირის, შემდგომ პარტიული კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად აირჩიეს.

1961 წელს ლაჯანურჰესის მშენებლობის დამთავრებისთანავე მიშამ სწავლა განაგრძო მოსკოვის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც 1965 წელს წარჩინებით დაამთავრა, იმავე წელს დაუბრუნდა თავის მუშათა კოლექტივს, რომელიც იმხანად ენგურჰესის უნიკალურ ჰიდროელექტროსადგურს აშენებდა. იგი ჯერ მშენებლობის უფროსის მოადგილედ დანიშნეს, 1966 წელს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

მშენებლობაზე მან თავი გამოიჩინა, როგორც დიდმა ორგანიზატორმა, უნარიანმა, ნიჭიერმა ახალგაზრდამ.

1970 წელს მიშა პარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად გადაიყვანეს. წინ დიდი სიძნელეები ელოდა. მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა, როცა მთავრობიდან სტუმარი ეწვია. ცაგერის შემოსავლელში „კეჭინარის“ ღელე ისე ადიდებულიყო, რომ მანქანა სტუმრიანად შიგ ჩარჩა და ხალხმა დიდი ვაი-ვაგლახით მოიყვანა. შერცხვა ყმაწვილს სტუმრის წინაშე, ფიცი დადო—ან ამ თავაწყვეტილი ღელეს ავლაგმავ, ან წავალ რაიონიდანო.

დღესაც ბევრს ახსოვს, ჩემო მკითხველო, რომ მაშინ „გველეშბარს“ სიმინდის და პურის ყანები იყო, როცა კოკისპირული წვიმა მოვიდოდა, ფერდობებიდან წამოსული ღვარები „გველეშბრის“ ღელეში ჩაედინებოდა, საშინელ ღვარცოფად იქცეოდა. ტალახის და ქვა-ღორღის უზარმაზარი მასა ქალაქის ტერიტორიაზე ჩამოჰქონდა. წარმოდგენა რომ გვქონდეს, დღევანდელ „სამტრესტის“ ქარხნიდან კავშირგაბმულობის შენობამდე მთელი ეს მიდამო ტალახის და ქვაღორღით იფარებოდა. ეს გრძელდებოდა ათეული წლების განმავლობაში.

საჭირო იყო მონდომება და ინიციატივა, სახელმწიფო ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას იძლეოდა. მიხეილს მშენებლობაზე მიღებული გამოცდილება გამოადგა. „კეჭინარის“ მიდამოებში აგუგუნდა ტრაქტორები, თვითმცლელი მანქანები, ბულდოზერები, ათიათასობით კუბური მეტრი ქვა-ღორღი გადაზიდული იქნა ცხენისწყლის სანაპიროზე. ქვა-ღორღისაგან მიდამო გაიწმინდა, მოსწორდა დიდი ტერიტორია პარკის გასაშენებლად. გაიჭრა და დაბეტონდა წყალგამტარი არხი, გაკეთდა ფართო ქუჩა ქალაქის მუშა-მოსამსახურეების, მაცხოვრებლების, რაიონის აქტივის მუყაითი შრომით მომავალი პარკის ტერიტორიაზე ქუჩების, წყალგამტარი არხის გასწვრივ დაირგო მარადმწვანე ნარგავები—დღეს რომ თვალს ახარებს. ბალახის კორდებით დაიფარა ტერასები, სტიქიით ასალაგმად დაიწყო გველეშბრის გატყევება. ციცაბო ფერდობები დაიფარა მარადმწვანე მცენარეებით.

იმავდროულად გაჩაღდა მშენებლობის ნამდვილი ბუმი. აშენდა გამგეობისა და საკრებულოს დღევანდელი შენობები, საბავშვო ბაგა-ბაღი, სასამართლოს შენობა, დაიწყო სასტუმროს მშენებლობა, აშენდა ორი ორსართულიანი შენობა რაიკომის და რაიაღმასკომის თანამშრომელთათვის, ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლი, მოეწყო საკოლმეურნეო ბაზარი, ბარდნალაში აშენდა რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხანა. ამავე წლებში რაიონში აიგო რამდენიმე კოლმეურნეობების, სასოფლო საბჭოების ადმინისტრაციული შენობა.

მშენებლობასთან ერთად მიშა გვიშიანი დიდყურადღებას უთმობდა რაიონის ეკონომიკის წამყვანი დარგის—სოფლის მეურნეობის აღმავლობას. პირადად ამოწმებდა კოლმეურნეობების საქმიანობას, ეხმარებოდა მათ ტექნიკით და სხვა საშუალებებით. მისი უშუალო ძალისხმევით რესპუბლიკიდან მხოლოდ საშურის რაიონში გაიზარდა „ცოლიკაურის“ და „ოჯალეშის“ შესასყიდი სახელმწიფო ფასი. საფუძველი ჩაეყარა ცხუნკურში უნიკალური ყურძნის—„უსახელაურის“ საბჭოთა მეურნეობას. ჩატარდა პლანტაჟის დიდი მოცულობის სამუშაოები, აშენდა სამეურნეო დანიშნულების ობიექტები. ჭალადიდის ზამთრის საძოვრებზე მოეწყო მეცხოველეობის დიდი კომპლექსი. დაფუძნდა საკვებმოპოვების გაერთიანება და „კოლმშენი“—სამწუხაროდ მათგან არაფერია დარჩენილი.

მიშას მხედველობის არედან არ გამორჩენია რაიონის მინერალური წყლების რესურსები. დიდი სამუშაოები ჩატარდა ლაშიჭალაში, რომელიც რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად იქცა. იგი დაინტერესდა ძულუხის უნიკალური მინერალური წყლით (ამ საქმეში მას გვერდით ედგა ქველმოქმედი სამსონ ქარსელაძე). მიშამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე ვიწრო საცალფეხო ბილიკებით ძულუხში აიყვანა. როცა სტუმარმა ძულუხის გემო გასინჯა, აღტაცებულმა თქვა—ეს ტრუსკავეცს აღემატებაო. მიშას და იქ მყოფ დამსვენებლებს უთხრა: „პირობას გაძლევთ ძულუხი ელექტრონით გაჩირაღდნება და დამსვენებლები აქ მანქანებით ამოვლენო“. ნათქვამი შესრულდა მოკლე ხანაში 12 კილომეტრიანი სამანქანო გზა გაკეთდა, მაღალი ძაბვის ხაზი გაიყვანეს, სასადილოს და დასასვენებელი ბინები აშენდა. მიშა გვიშიანი ცხოვრებასა და საქმიანობაზე ჭეშმარიტი მამულიშვილის მისაბაძ მაგალითს იძლეოდა. ბატონი **დავით სვანიძე** იგონებს: ენგურჰესელებისათვის საცხოვრებელ ბინებს აგებდნენ თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, წყალტუბოში. მიშამ წყალტუბოში მიიღო ბინა. ციციშვილი იქ ცხოვრობდა, როცა ცაგერში გადმოიყვანეს პირველ მდივნად, წყალტუბოში ბინები დატოვა „მე აქ ნორმალურად მოვეწყვე, წყალტუბოში ჩემს ბინას ვინმე უბინაოს მისცემენ, მადლიაო. ბატონი **ვაჟა ჭაბუკიანი** ბრძანებს, „მიშას საშუალო სასწავლებელი დაამთავრა, დამიბარა და მითხრა: თუ ძმა ხარ, წყალტუბოში გამეგზავნე. ჩემი ბიჭი ჯარშია გასაწვევი. შესაძლოა კომისარიატში თქვენ—რაიკომის მდივნის შვილია, გადავადება მისცეთო. ჰოდა, უთხარი კომისარს, ჯარში გაიწვიოს, შვილმა ვალდებულება მოიხადოს, მხედრულ წრთობას მიიღებს, სწავლის გაგრძელებას მერეც მოასწრებსო საუბედუროდ ჯარიდან შვილი თუნუქის კუბოთი ჩამოუსვენესო“— ვაჟკაცურად გადაიტანა მის თავზე დატეხილი ტრაგედია. მთელმა ლეჩხუმმა გაიზიარა მამის ტკივილი.

1976 წელს ლეჩხუმში უჩვეულო ზამთარი დადგა. თოვლის საფარმა 3 მეტრს მიაღწია. ცაგერი მოწყდა გარე სამყაროს ორბელის და „სარეწკელას“ ვიწროების გზებზე სტიქიასთან მებრძოლი ბულდოზერის მძღოლებს. დღით თუ ღამით მათთან იყო, ამხნევებდა. გზა სარეკორდო დროში გაიწმინდაო—იგონებს ბატონი ომარ ჭაბუკიანი.

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად არ გვახსოვს. შურიანობის სიხარბის ჭია, ვიღაცას შეშურდა მისი აღზევება...

როცა ასეთ დიდ საქმეს აკეთებ კაცი, არ შეიძლება იქ თუნდაც მცირე შეცდომა არ გაიპაროს... და წავიდა ცაგერიდან გულნაკლული. გაცილების ვახშამზე თქვა: „მეგობრებო, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე ხალხის, რაიონის საკეთილდღეოდ. ჩემ ადგილას მავანი პირად კეთილდღეობას დააყენებდა წინა პლანზე.. მე ერთი ჩემოდნით მოვედი ცაგერში და ერთი ჩემოდნით მივდივარ აქედანო“.

მთავრობის მაღალ ეშელონებში კარგად იცოდნენ ამ კაცის ნიჭის და უნარის ფასი. იგი დააწინაურეს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების კომიტეტის თავმჯდომარედ. მის ხელში უზარმაზარი მატერიალური ფასეულობა იყო, მაგრამ პირადად გამდიდრებაზე არ უფიქრია. სხვას კი დახმარების ხელს უწვდიდა. როცა მის სოფელს—ორბელს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს, დამეწყრილების დასახმარებლად, მთავრობასთან შეთანხმებით, 30 ტონა ბენზინი, 20 ტონა დიზელის საწვავი, 47 საველე კარავი და სურსათი გამოგზავნა.

70 წელი იცოცხლა მიშა გვიშიანმა (გარდაიცვალა 2000 წელს). იცოცხლა და იცხოვრა ისე, როგორც ჭეშმარიტ პატრიოტს შეჰფერის. საინტერესო პიროვნება იყო. ბავშვობიდან ჩამოუყალიბდა სიძნელეებთან შეუპოვარი მებრძოლის ხასიათი. თავდადებით ემსახურებოდა დაკისრებულ მოვალეობას. იყო პრინციპული, უაღრესად პუნქტუალური—საჭიროების დროს დამთმობი, კოლეგიალური. უნარი შესწევდა გამოევლინა ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები. აწინაურებდა და ეხმარებოდა მათ. ყოველ დილით, ალიონის დადგომისთანავე, სამუშაო ტანსაცმლით გამოდიოდა ბინიდან, შემოივლიდა მშენებარე ობიექტებს, მოინახულებდა საკოლმეურნეო ძვრებს. 9 საათზე „გამოწკეპილი“ უკვე კაბინეტში იყო.

ბატონი **ზურაბ ჩიქოვანი** იგონებს: „ცაგერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყავი, ყოველთვის ადრე გავდიოდი ბინიდან. ერთ დილას მიშა შემომხვდა, ვაზის ფოთლები გამომიწოდა. „რა გაძინებს ამის შემხედვარე შენს ვენახში ჭრაქია გაჩენილიო. მას უკვე ჩვენ ვენახების შემოვლა მოესწრო.

მიუხედავად მუხლჩაუხრელი შრომისა, თავისთავზე მუშაობასაც ასწრებდა ბევრს კითხულობდა. განათლებული კაცი იყო. მოხსენებებს ყოველთვის თვითონ წერდა. ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას. გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, იუმორის დიდი გრძნობა გააჩნდა და ჩინებული, სიტყვა მოსწრებული თამადაც იყო.

როგორც ხედავთ, ჩემო მკითხველო, 8 წლის განმავლობაში ცაგერში მიშა გვიშიანმა ბევრის გაკეთება შეძლო და ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. სამწუხაროდ, მისი სახელის უკვდავსაყოფად დღემდე არაფერი გაკეთებულა.

მე გამოვხატე საზოგადოების აზრი: მიშა გვიშიანს ღვაწლი უნდა დაუფასდეს. ვფიქრობ, მისი სახელი მიეკუთვნოს მის მიერ აშენებულ პარკს ან ქალაქის სხვა ობიექტს. დარწმუნებული ვართ რაიონის ხელმძღვანელობა ამ მოსაზრებაზე დადებით რეაგირებას გააკეთებს.

**P.S.** წერილის მომზადებაში დახმარება გამიწიეს ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა, ბატონებმა ზურაბ ჩიქოვანმა, ვაჟა ჭაბუკიანმა, დავით სვანიძემ, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

**შალვა ცვარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა



როცა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელზე საუბრობ, გარდა იმისა, რომ ის უფლის დედაა, რომელმაც შვა კაცობრიობის მხსნელი, ყველა მართლმადიდებელი ქართველის თვალსაწიერში ალბათ ამოტივტივდება წარმოსახვა იმისა, რომ ღვთისმშობელი განსაკუთრებული მფარველი და მლოცველია ჩვენი ერისა. ოდითგანვე ვეთაყვანებოდით ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატებს. საკმარისია გავიხსენოთ ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართი, რომელიც გადმოცემის თანახმად ის კვართია, რომელიც დედაღვთისას შობის ჟამს ემოსა. ღვთისმშობლისადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლევან კახთა მეფემ XVI საუკუნეში „ტკბილი ამბორის“ სახელით ცნობილი ხატი ოქროს პერანგით შეამკო.

21 სექტემბერს მართლმადიდებლური სამყარო ყოვლდაწმიდა ღვთისმშობლის მარიამის დაბადებას ზეიმობს. ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმსა და ანას მომავალი მშობელი ღვთისა.

იოაკიმე მართალია მდიდარი, მაგრამ უშვილო გახლდათ. მას ყოველწლიურად უფლის დიდ დღეზე ორმაგი მსხვერპლი მიჰქონდა შესაწირად. ერთი თავად ღმერთისათვის, რათა ცოდვები მიტევებოდა, ხოლო მეორე ღარიბებისათვის.

როცა კვლავ დადგა ჟამი მსხვერპლის შეწირვისა, ებრაელებმა მას უშვილობა წამოაძახეს და უთხრეს, რომ არ ჰქონოდა უფლება პირველს შეეწირა ძღვენი, რადგან უფალმა უნაყოფოდ დატოვა.

დაღონებული იოაკიმე დარწმუნდა, რომ ისრაელის თორმეტივე ტომში ყველა მართალ კაცს შვილი ჰყავდა. ამ ამბავმა იოაკიმეს მწუხარება გაუასკეცდა, მიაშურა უდაბნოს, სადაც სახელდახელოდ აგებულ კარავში, ორმოცი დღე და ღამე იმარხულა, დღემუდამ ლოცვით საზრდოობდა.

მისმა მეუღლემ—ანამ „იოაკიმეს ამ მოქმედების“ შესახებ არაფერი იცოდა. მას ორმაგი საწუხარი ჰქონდა: უშვილობა და იგლოვდა ქვრივობას.

კვლავ დადგა ჟამი მსხვერპლშეწირვისა. მხევალმა იუთინემ ანას სამეფო ბეჭდიანი თავსაბურავი მიუტანა და უთხრა რომ მოეხვია, რომ სიხარულით შეხვედროდა ღვთისადიდებლად დღესასწაულს. როცა მხევალმა იუთინემ უარი მიიღო ანასგან, უშვილობა წამოაძახა: „უფალმან ღმერთმან დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო“.

მაშინ ანამ სამგლოვიარო ტანსაცმელი სადღესასწაულო ტანსაცმლით შეცვალა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს შეევედრა: „ღმერთო მამათა ჩემთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ვედრება ჩემი, ისე როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიანიჭე მას ისააკი“.

დამწუხრებული, დასევდიანებული ანა უნუგეშოდ შენატროდა ცის ფრინველთა და ცხოველთა ბედს, რომელთაც შობის ძალა ჰქონდათ.

და აჰა, უფლის ანგელოზი გამოეცხადა ანას და აუწყა, რომ ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი მთელს ქვეყანაზე განდიდდებოდა. ანამ იმწამსვე აღთქმა დადო უფლის წინაშე, შვილი—ძე იქნებოდა თუ ასული, უფლისთვის შეეწირა და უფლის მსახურებაში გაეტარებინა ამქვეყნიური ცხოვრება.

უფლის ანგელოზმა უდაბნოში განდეგილ იოაკიმესაც აუწყა, რომ მამა გახდებოდა. უმალ ჩამოვიდა იოაკიმე უდაბნოდან, ათი უმანკო კრავი ღვთის შესაწირავად მიიყვანა, თორმეტი ჩვილი ხბო მღვდლებისა და მოხუცებულთათვის, ხოლო ასი ვაცი ხალხისთვის.

იოაკიმეს და ანას ქალი შეეძინათ, რომელსაც მარიამი უწოდეს. სამი წლის მარიამი მშობლებმა ტაძარში მიიყვანეს, უბიწო ასულებმა ანთებული სანთლებით ხელში მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმა მარიამი მკერდში ჩაიკრა, საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა ღმერთმან სახელი შენი.

უკანასკნელ ჟამს შენს მიერ გამოიხსნას უფალმა ისრაელის შვილები ღვთის მადლცხებული ბავშვი არ გატირებია შინისაკენ გაბრუნებულ მშობლებს.

ამის შემდეგ მარიამი ცხოვრობდა ტაძარში, სადაც ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს მანამ, სანამ თორმეტი წლის არ გახდა.

ყველა მართლმადიდებელს გილოცავთ ღვთისმშობლობას. ღვთისმშობლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**ეკატერინე ბენდელიანი**

# სამართლებრივი კონსულტაცია

*„ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“. “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი №3 „ადამიანის უფლება ხელშეუვალია“. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18, პუნქტი №1)*

*კანონით მინიჭებული ამ უდიდესი ღირებულების დარღვევა ხშირად ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრი ხდება, რასაც ხელს უწყობს საზოგადოებაში სამართლებრივი ცოდნის მწვავე დეფიციტი.*

*გამონაკლისს ამ მხრივ არც ჩვენი რაიონი წარმოადგენს. გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“ შეეცდება ჩვენს მოსახლეობას მისცეს ის მინიმალური იურიდიული განმარტებები, რომელიც ნებისმიერმა უნდა იცოდეს. „სამართლებრივ გვერდს“ გაუძღვება ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე გია დაშნიანი.*

**რა არის დაკავება და რა შემთხვევაში შეიძლება პირი ეჭვმიტანილად იქნას დაკავებული?**

—მოქმედი კანონმდებლობით დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა და გამოიყენება ისეთი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება თუ პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. თუ არსებობენ თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულნი, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე; თუ პირზე ან მასთან, ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება დანაშაულის აშკარა კვალი; როდესაც პირი მიიმალა და შემდგომ ამოიცნო დაზარალებულმა; თუ პირი იძებნება დანაშაულის ჩადენის გამო.

**--ვის აქვს დაკავების უფლება?**

—პოლიციელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, მოკვლევის სხვა ორგანოს, გამომძიებელს და დაკავების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერ პირს. (სსკ 143-ე მუხლი)

**--როგორია დაკავების წესი?**

—ეჭვმიტანილს დაკავებისას გასაგები ფორმით უნდა შეატყობინონ თუ რის საფუძველზე დააკავეს. განუმარტონ, სახელდობრ რა დანაშაულისათვის არის დაკავებული, რის შემდეგაც წარადგენენ პოლიციაში. თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს დანაშაულში მამხილებელი რაიმე მტკიცებულებები (ნარკოტიკი, იარაღი ან სხვა) და შესაძლოა თავიდან მოიშოროს ისინი, თანამდებობის პირს უფლება აქვს დაკავებისას ჩაატაროს პირადი ჩხრეკა, რაზედაც უნდა შედგეს ოქმი დაკავების ადგილზევე. თუ შეუძლებელია ასეთი ოქმის ადგილზე შედგენა, ოქმი უნდა შედგეს სამართალდამცავ ორგანოში დაკავებულის მიყვანისთანავე. რომელშიც აღინიშნება რატომ არ იქნა იგი შედგენილი ჩხრეკის ადგილზე. ჩხრეკა ტარდება თანამოსახელე სქესის ორი დამსწრის მონაწილეობით. დაკავების ოქმში აღინიშნება ეჭვმიტანილი როდის, რა ვითარებაში, კანონის რა საფუძველზე დააკავეს, რა დანაშაულის ჩადენაში არის ეჭვმიტანილი და რომელ საათზე მიიყვანეს პოლიციაში.

**--დაკავების შესახებ ეცნობება თუ არა მის ახლობლებს?**

—მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან, სრულწლოვანი პირის დაკავებიდან ხუთი საათის შემდეგ, ხოლო არასრულწლოვანის დაკავებიდან სამი საათის შემდეგ, შეატყობინონ დაკავებულის ნათესავებსა და ახლობლებს დაკავების ადგილი ან დაკავებულის ადგილსამყოფელი (სსკ 138 მუხლი)

**--რა ვადაში უნდა დამთავრდეს დაკავებული ეჭვმიტანილი პირის შემოწმება?**

—ეჭვმიტანილი პირის შემოწმება (პიროვნების დადგენა) პოლიციაში ან მოკვლევის ორგანოში უნდა დამთავრდეს მიყვანიდან არაუგვიანეს თორმეტი საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოტანილი უნდა იქნას დასაბუთებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების, ან საქმის არ აღძვრისა და დაკავებულის განთავისუფლების შესახებ. აღნიშნული დადგენილება დაუყოვნებლივ გამოეცხადება ხელწერილით ეჭვმიტანილს და განემარტება მისი უფლებები. (სსკ 146-ე მუხ)

**--რა უფლებები გააჩნია ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ პირს?**

—დაკავებულმა არაუგვიანეს თორმეტი საათისა ხელზე უნდა მიიღოს სს საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ასლი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს რაშია იგი ეჭვმიტანილი.

მისცეს ან არ მისცეს ჩვენება.

ისარგებლოს დამცველის მომსახურებით (არაუმეტეს სამისა), ანაზღაურების დანიშვნით, ან უფასოდ—სახაზინო წესით (მისთვის სასურველი დამცველი შეუძლია მოიწვიოს სამ საათში)

პირისპირ მარტო შეხვდეს დამცველს დღეში არაუმეტეს ერთი საათისა.

უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურეობით;

ეჭვმიტანილად პირველივე დაკითხვის შემდეგ, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და ექიმის წერილობითი დასკვნა.

განაცხადოს შუამდგომლობანი და აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი; მონაწილეობა მიიღოს თავისი ან დამცველის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.

პროკურორს ან მოსამართლეს წარუდგინოს საჩივარი მოკვლევის ორგანოს, მომკვლევის ან გამომძიებლის მოქმედებისა თუ გადაწყვეტილების გამო;

მიიღოს ანაზღაურება იმ ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა სს საქმის უკანონოდ და დაუსაბუთებლად აღძვრისა და დაკავების შედეგად (სსკ 73-ე მუხ.)

**--რამდენ ხანს შეიძლება იყოს პირი დაკავებული ეჭვმიტანილის სახით?**

—ეჭვმიტანილის სახით პირი უნდა დაიკითხოს მიყვანიდან არაუგვიანეს ოცდაოთხი საათისა, მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან დაკავების ვადა ბრალდების დაწყებამდე არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდარვა საათს (სსკ 146-ე მუხ.) ამ ვადის გასვლის შემდეგ პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

დაკავებული თავისუფლდება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელმაც ის დააკვა.

**--რა უფლებებით სარგებლობს ეჭვმიტანილი, რომელიც არ არის დაკავებული?**

—ყველა იმ უფლებით, რითაც დაკავებული ეჭვმიტანილი, იმ განსხვავებით რომ მას ბრალდება დაყენება არაუგვიანეს ოცდაათი დღისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება. (სსკ 72-ე მუხ).

ეჭვმიტანილის მიერ თავისუფლებების გამოუყენებლობა არ შეიძლება გაგებულ იქნას მისი დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

# თუ გინდა რომ ქვეყანა ააშენო...

ბავშვები სკოლის ეზოში აბიბინებულ ცვრიან წალკოტში დარბიან, სისხამი დილაა, ისეთი უღრუბლო და კრიალა, როგორიც ამ პატარების სულია და თვალები...

დღევანდელობის მსახვრალი ხელი ყველაზე მეტად სკოლას ჩვენი ცხოვრების ყველაზე იმპულსურ უჯრედს შეეხო... ვფიქრობ ჩემთვის და თვალს ვერ ვაშორებ მოთამაშე პაწიებს... და რამდენიმე წუთს, მასპინძლებს, ჭალისთავის დაწყებითი სკოლის პედაგოგებს ვართმევ.

აქ წლებია გამგე-მასწავლებლად გამოცდილი პედაგოგი ციცინო ნემსიწვერიძე მუშაობს, მას გვერდით უდგას ენერგიული ახალგაზრდა მასწავლებელი ხათუნა ბენდელიანი, რელიგიას და კულტურას ასევე გამოცდილი პედაგოგი მერი ცხვედიანი ასწავლის.

სწავლების დონე, სიახლისადმი სწრაფვა, პედაგოგთა უდიდესი ძალისხმევა არავის აძლევს საბაბს გაუჩნდეს თუნდაც კაპრიზი სხვა ე.წ. პრესტიჟულ სკოლაში ატაროს ბავშვი.

სულ 18 ბავშვი სწავლობს ჭალისთავის დაწყებით სკოლაში. ისე კი სასკოლო ასაკის 100-მდე ბავშვია სოფელში, მაგრამ დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ ნაწილი ბარდნალის საშუალო, ნაწილიც ქვედა ცაგერის 9-წლიან სკოლაში აგრძელებს სწავლას, პედაგოგები თავს კარგად ართმევენ კლასკომპლექტთან მუშაობის სირთულეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთმა პირველებმა გაბედულად მოჰკიდეს ხელი როდონაიას სახელმძღვანელოთი სწავლებას პირველ კლასში. ეს გახლავთ ი. გოგებაშვილის დედაენაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო, ილუსტრირებული, სადაც ერთადაა წარმოდგენილი ლიტერატურა და გრამატიკის ელემენტები. ფაქტობრივად, იანვრამდე, ამთავრებენ ყველა ასოს შესწავლას და გადადიან ასობგერაზე. ერთი სიტყვით ამ სახელმძღვანელოთი სწავლების აპრობაცია კარგად დასრულდა და რაც, მთავარია, ეს გამოიხატება მოსწავლეთა ცოდნის შედეგებში.

ასე რომ, სწავლება და აღზრდა სკოლაში მართლაც და საიმედო ხელშია, მაგრამ0 არის პრობლემები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს მოსწავლე-მასწავლებელთა ფსიქოლოგიაზე, გნებავთ, სწავლების პროცესზე და დონეზე თუნდაც.

სკოლა, ანუ ორი კლასკომპლექტი ორ ფარღალალა ოთახშია განთავსებული. სკოლას სულ ცოტა 50 წლის ისტორია აქვს. მაშინაც ეს ხის ძველისძველი შენობა კერძო პირისგან შეუძენიათ და მას აქეთ არაფერი მიმატებია. ზევით ვთქვით, სოფლის მოსწავლეთა კონტიგენტი თავისუფლად დააკომპლექტებდა, გნებათ, 9 წლიან სკოლას, მაგრამ ეს მომავლის საკითხია. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ხის ცივი, ფარღალალა სკოლის შენობა შველას ითხოვს, შველას კიბიდან დაწყებული სახურავამდე. საგულისხმოა ისიც, რომ სოფელს არანაირი სხვა საზოგადოებრივი შენობა არ გააჩნია. მასწავლებლებმა გაიხსენეს ერთხელ აქ წინასაარჩევნო შეხვედრა ჩატარდა და სულ ჭრიჭინი გაჰქონდა იატაკს.

ამ შეჭირვებულ დროში სკოლის შეკეთება აღემატება მშობელთა და პედაგოგთა შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, თუ მთელი სოფელი დაირაზმება და ზემდგომი სტრუქტურებიც შეაშველებენ ხელს, ჭალისთავში, ამ გზის პირა ლამაზ ეზოში უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი სკოლა შეიძლება ვიხილოთ.

თუ გინდა, რომ ქვეყანა დაანგრიო, სკოლა უნდა დაანგრიო, თუ გინდა, რომ ქვეყანა ააშენო, სკოლა უნდა ააშენო.

ჭეშმარიტად!

**მზევინარ ძნელაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რთველი ახლოვდება



დადგა შემოდგომა, გასულ წლებში მოახლოებული რთველი მოსახლეობას შემოსავლის იმედს უსახავდა.

ზაფხულის წლევანდელმა გვალვებმა და ძლიერმა სეტყვამ ყურძნის მოსავალი ფრიად შეამცირა. რით დავაიმედოთ ხალხი, სასწაულებრივად გადარჩენილ მცირედ ნაწილს მაინც თუ მოენახება გასაღების ბაზა ისე, რომ არც გლეხი დარჩეს უკმაყოფილო და არც რაიონის ბიუჯეტი უშემოსავლო.

2000 წელს ყურძნის რეალიზაციის შედეგად რაიონმა ვერც თუ დიდი მოგება ნახა, რადგან გამსაღებლები კერძო ინვესტორები გახლდნენ, რომლებიც პროდუქციას უშუალოდ გლეხისაგან ყიდულობდნენ, ამიტომაც გარიგება ამ ორ სუბიექტს შორის ხდებოდა, უფლება კი არავის აქვს მსგავს გარიგებას, რომელიც საბაზრო პრინციპებით ხდება, ხელი შეუშალოს, ალტერნატიული ვარიანტის გამოუნახაობის გამო კი რაიონის ეკონომიკა დაზარალდა.

რა მოხდება წელს? კულუარული ინფორმაციით „ოჯალეშის" ჯიშის ყურძნის სავარაუდო ფასი 5 ლარი იქნება, თუმცა მისი დაზუსტება ჯერჯერობით არ ხერხდება.

რაიონის გამგეობამ მიზანშეწონილად ჩათვალა ოფიციალური წერილები დაეგზავნა ქარხნის დირექტორებთან, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ინვესტორების ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამოცხადება, რათა მათთან მოხდეს მოლაპარაკება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაიონში გარკვეული ოდენობის ყურძნის ფასად წინასწარ დარიგდა შაბიამანი, ფქვილი, ზოგან თანხაც, რაც ერთგვარი გარიგების საწინდარია, იმედსაც გვიტოვებს, რომ ინვესტორები დაბრუნდებიან.

რთველი იწყება! შევეცადოთ მოსახლეობამ საკუთარი შრომის საფასური მაქსიმალურად მიიღოს.

ეკა ფუტკარაძე
თსუ IV კურსის სტუდენტი.

## განცხადება

ცაგერის რაიონს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის საკონკურსო კომისია აქვეყნებს განცხადებას

რაიონში მიწის ნაკვეთის კონკურსის წესით გაყიდვის შესახებ. საქართველოს კანონის "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" შესაბამისად.

იყიდება საკურორტო ადგილი „ახალჭალა", რომელიც რამდენიმე წელია არ ფუნქციონირებს, მიტოვებულია, შემოუკავებელია, არ დგას შენობა-ნაგებობანი და მოითხოვს აღდგენას. მყიდველთა მსურველებმა შეგიძლიათ მიაკითხოთ მიწის მართვის სამმართველოს.

ერთი ჰექტარი მიწის საწყისი ფასია 360 ლარი.

ცაგერის მიწის მართვის სამმართველოს უფროსი მ. თოდიძე

## გილოცავთ

ნანა ჭაბუკიანს
რატი ხეცურიანს
გილოცავთ პატარა გიორგის დაბადებას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი
*თამარ დავითულიანი, ეკა ყვირილიანი*

ნაირა, ზელა ზოზიძეებს
მერი, თამაზ ქარსელაძეებს
გილოცავთ ფიქრიასა და დათოს ბედნიერებას.
დაგბედებოდეთ სიმრავლე
*ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.*

მარინე ჩაჩხიანს!
ჩვენო ლამაზო მეგობარო.
გილოცავთ დაბადების დღეს,
მრავალჟამიერ!
*შენი მარად ერთგული მეგობრები.*

## ხსოვნა

## ვახტანგ კოპალიანი



40 დღე გასულა ვახო...

40 ტკივილიანი, ცრემლიანი და მონატრებული დღე, რაც ამქვეყნიდან შენი წასვლა ინება უფალმა და სამარადისო სასუფეველში დაუმკვიდრა შენს სულს ადგილი.

ჩვენო საყვარელო ბიჭო, სულის შემძვრელ ტკივილამდე გვენატრები, გვენატრება შენი სიცილი, შენი იუმორი, მაგრამ... ამაოდ!...

როგორ ვხარობდით ყველას რომ უყვარდი და ყველა მართალი სიტყვის ბიჭად გიცნობდა. როგორ ხარობდა შენით დედ-მამა, უნივერსიტეტი დაამთავრე და შენს კეთილ მომავალზე ფიქრობდნენ, მაგრამ?... დღეს უკვე გამწარებული და ცოცხლად-მკვდრები არიან, ასე ადრიანად 21 წლის ასაკში, ვაჟკაცი შვილი გამოაცალა წუთისოფელმა ხელიდან. ძალიან ძნელია სანუგეშო სიტყვის თქმა მათთვის, ძალიან ძნელი. ვერავის ვერ გაგვიბედნია, ვერც შენს საყვარელ ბიძებს, ვერც ბიცოლებს, ვერც სიბერეგამწარებულ ბებიას და ბაბუას და ვერც ჩვენ, ბიძაშვილებს, მათთან ერთად შენზე ტირილი. შენი საყვარელი დაიკო, ირინე როგორ იტანჯება, ვახო, ჯერ დედას ამშვიდებს, შემდეგ მამას და ღამით როცა მარტოა ოთახში, მაშინ ტირის...

ვახტანგ! ხანდახან ვფიქრობთ—თითქოს იცოდი რომ ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე. 21 წლის ასაკში, აბა, როგორ მოასწარი ამდენი სითბოსა და სიკეთის თესვა. შენი პატარა გული მთებისოდენა სიყვარულს იტევდა, და ამიტომაც ვინც კი გიცნობდა ყველას ახსოვხარ კაცთმოყვარე, ვაჟკაცური და ალერსიანი.

ღმერთსაც შენნაირები უყვარს ვახო! ამიტომაც გვჯერა, რომ მეორმოცე დღეს, როდესაც შენი სული უფლის წინაშე უნდა წარსდგეს, უფალი შენს სულს თავისთან დაიტოვებს, სამარადისო სასუფეველში.

შენ კი გჯეროდეს, სანამ ცოცხლები ვართ ვილოცებთ შენი სპეტაკი სულის ასამაღლებლად.

ნათელი და სანთელი არ მოაკლოს უფალმა შენს წმინდა სულს, ვახო!

შენი
ბიძაშვილები:
მარიკა, მამუკა,
ლევან და ლექსო
კოპალიანები.

## დავით ყურაშვილი



ნაკურალეშელი დავით ყურაშვილი ხანდაზმული წავიდა ამა ქვეყნიდან, მაგრამ ისევ საჭირო სოფლისთვის და ხალხისთვის. დიდი სამამულო ომის ცეცხლგამოვლილი, სოფლის ხელმძღვანელის პოსტზე წლების მანძილზე ნაწართობი, ჭირსა და ლხინში თანასოფლელთა თანამდგომნი დააკლდა სოფელს.

დავითის მამამ ალექსიმ ოთხი ვაჟკაცი აღზარდა, ოთხივე სამამულო ომში გაისტუმრა. დავითი მეოთხე ვაჟი იყო ოჯახის, რომელიც ცაგერის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. 1942 წელს პირდაპირ ფრონტზე გაიწვიეს. მან დიდი ბრძოლები გადაიტანა მოზდოკში, ყუბანში, ყირიმში. პერეკოპთან ბრძოლაში დაიჭრა და ჰოსპიტალში შეიტყო—წითელი ვარსკვლავის ორდენით დაეჯილდოებინათ. შემდეგ ბრძოლებით გაიარა რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია.

დავით ყურაშვილმა სასახელოდ მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. ამისათვის ორი ორდენი და ხუთი მედალი დაიმსახურა. მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის სტალინის 16 მადლობა.

ოჯახი, მისი დიდი მონაგარი ვამაყობთ დავითის კაცობით, განვლილი გზით. ეს გზა სამაგალითოა ჩვენთვის, და გვასწავლის როგორ ვიცხოვროთ, როგორ გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორ გვიყვარდეს მამული ჩვენი.

ოჯახი.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მირანდა სალინაძეს მამის
ოთარ სალინაძის
გარდაცვალების გამო

მურმან თოთაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

პარლამენტის დეპუტატი კარლო მუშკუდიანი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

ჯონი ყვირილიანი თანაგრძნობას უცხადებს ბორის მიქაძის ოჯახს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

ჯობო ბაკურაძე თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო.

ზურაბ, სერგო, ნანი, ხაბულიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

იური, ზაურ, თემურ, ნონა ბენდელიანები თანაუგრძნობენ ნატო და ჯონდო ბაკურაძეებს დედისა და სიდედრის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

როსტომ, ვიოლა ზურაბიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ნადია და სერგო მიქაძეებს რძლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

შალვა ცვარიანი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

პარლამენტის დეპუტატის ბიურო სამძიმარს უცხადებს ბორის მიქაძეს მეუღლის
ნანული დავითულიანი-მიქაძის
გარდაცვალების გამო

ლაშა ბურჯალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ნანული დავითულიანი-მიქაძის
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია პასუხს არ აგებს შემოსულ წერილებზე

რედაქტორი
თამარ
დავითულიანი

პასუხისმგებელი
მდივანი
მზევინარ
ძნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ეკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
ეკა ბენდელიანი.

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის
№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის ს/ს „სტამბაში"

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ:7-07-80, 7-34-99